პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 აპრილი **ორშაბათი** 2011

№077 (13374) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## რევაზ ლაშხის ოქროს ეშხი

დორტმუნდი 2011. ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში

10

## დასავლეთში ქარი იყო, აღმოსავლეთში სენსაცია: სიონმა ოლიმპს შეუბერა



2-3

ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი 1:1

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო




12

## SUPER!

ფაჩულიამ ორმაგი დუბლი და მწვრთნელის ქება მიითვალა

## განსაკუთრებული მოვლენა

ცხრა წელი შინ წაუგებელი განსაკუთრებული ხიხონთან დამარცხდა




8

9



## მილანმა ინტერს 3:0!



ნიკოლოზ გელაშვილის გოლი და ყირამალა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# დავიდარაბით შენარჩუნებული ლიდერობა

02.04. თბილისი. შატილი
600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ზესტაფონი | 1 |

1:0 ბექვაია (15. გურ. გურეშიძის პასით), 1:1 გელაშვილი (23. ელიავას პასით)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | რ. კვასხვაძე |
| ხურცილავა | ალადაშვილი |
| ადამაძე | ხიდეშელი |
| კასრაძე | გ. ონიანი |
| ლანიაშვილი | ელიავა |
| ვასაძე | დაუშვილი |
| გურ. გურეშიძე | ბაბუნაშვილი |
| ბექვაია | ძარია |
| ჯანელიძე | გრიგალაშვილი |
| კორიფაძე | დვალი |
| ჩიმაკაძე | გელაშვილი |
| მწვრთნელი ა. კოჭლაშვილი | მწვრთნელი გ. გეგუჩაძე |

**ვიტ ჯორჯია**

81. კორიფაძე – **გოგიაშვილი**
82. ბექვაია – **მაისაშვილი**
83. ჩიმაკაძე – **როსტიაშვილი**

*სათადარიგოები: ძაძამია, ჭანკვეტაძე, გიორგი გურეშიძე, ზაქრაძე*

**ზესტაფონი**

59. გრიგალაშვილი – **გორგიაშვილი**
75. დვალი – **ნინამძღვრიშვილი**
77. ბაბუნაშვილი – **ბენაშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, მ. კობახიძე, გრუიცა, ფოფხაძე*

გაფრთხილება: **ელიავა (33), ბაბუნაშვილი (40), ლანიაშვილი (44), დვალი (68), დაუშვილი (70)**
გაძევება: **გელაშვილი (მატჩის შემდეგ)**
არბიტრი: **ლ. სილაგავა (თბილისი)**

მატჩის შესახებ თხრობა აუცილებლად იმ მომენტის გახსენებით უნდა დავიწყოთ, რომელიც 68-ე წუთზე მოხდა. "ვიტ ჯორჯიას" მეკარე **არდალიონ მიქაბერიძემ** თანაგუნდელისგან ფეხით მიღებული ბურთი ხელით დაიჭირა და არბიტრმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა.

ბურთიდან კარამდე ხუთი-ექვსი მეტრი იყო და, შესაბამისად, "ზესტაფონს" გოლის გატანის შესანიშნავი შანსი ჰქონდა. ცოცხალ კედელში მთელი "ვიტ ჯორჯია" ჩადგა, **კახა ალადაშვილმა** კი ბურთი მიზანში მოარტყა და სტუმრებმა გოლი იზეიმეს. თუმცა ზეიმმა სულ რამდენიმე წამს გასტანა. **ლაშა სილაგავამ** დარტყმის გამეორება მოითხოვა და "ზესტაფონმა" მეორე შანსი ველარ გამოიყენა. მსაჯის გადაწყვეტილებას "ზესტაფონის" ფეხბურთელთა და ქომაგთა დიდი პროტესტი მოჰყვა და მატჩის შემდეგ არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა არ დაჰკლებია. წყობილებიდან ყველაზე მეტად **ნიკა გელაშვილი** გამოვიდა, რომელმაც საფინალო სასტვენის შემდეგ წითელი ბარათი მიიღო.

სადავო მომენტის ვიდეოგამეორებისას აშკარად ჩანს, რომ "ზესტაფონს" გოლი მსაჯის სასტვენის შემდეგ გააქვს. ამაზე არანაკლებ საინტერესო ისაა, რომ ალადაშვილის დარტყმამდე სილაგავამ მეორედაც ჩასტვინა და ვიტელთა ცოცხალი კედლის მოსაწესრიგებლად დაიძრა...

ამ დანაკარგის მიუხედავად, "ზესტაფონმა" ლიდერობა შეინარჩუნა, რადგან მისმა ერთმა მდევარმა მარცხი იწვნია, მეორე კი ფრეს დასჯერდა. მოკლედ, ლიდერთა სამეულისთვის მძიმე ტური გამოდგა.

თემქაზე გამართული შეხვედრა სანახაობრივი და შინაარსიანი გამოდგა. ასეთი დონის მატჩი ტურში ერთი მაინც რომ იმართებოდეს, ჩვენი უმაღლესი ლიგით უთუოდ მეტი ქომაგი დაინტერესდებოდა.

"ზესტაფონმა" იმ დონის ფეხბურთი გვიჩვენა, მისი შემადგენლობისა და პირობების გუნდს რომ ეკადრება, მაგრამ მასპინძელთა ახალგაზრდული გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაცილებით გამოცდილი და მრავლისმნახველი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდო. სათამაშო უპირატესობას უმეტეს დროს "ზესტაფონი" ფლობდა, მაგრამ დროდადრო "ვიტ ჯორჯიაც" თამამად უტევდა და სწრაფი კონტრიერიშებით ფეროელებს თავსატეხს უქმნიდა.

"ვიტ ჯორჯიადან" კვლავ მისი კაპიტანი **გიგა ბექვაია** გამოირჩეოდა, რომელსაც მხარს კარგად უბამდა **გიორგი ჯანელიძე**. თუმცა მატჩის გმირი მაინც მასპინძელთა კარის დარაჯი მიქაბერიძე იყო, რომელმაც თავისი გუნდის კარი რამდენიმეჯერ იხსნა.

ანგარიში ეფექტური გოლით გაიხსნა. ბექვაიამ **გურამ გურეშიძის** ფლანგური გადაცემა მიიღო, ორი მეურვე ჩამოიცილა და თავისიანები დააწინაურა. მალე **ბესიკ ჩიმაკაძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, რისთვისაც მისი გუნდი ორიოდე წუთში დაისაჯა. **ზაალ ელიავამ** ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ყველას გელაშვილმა დაასწრო და თავურით წონასწორობა აღადგინა.

თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, მაგრამ მიქაბერიძეს **როინ კვასხვაძეზე** მეტი საქმე ჰქონდა. შესვენებამდე "ზესტაფონის" კიპერი ჩიმაკაძის დარტყმას გაუმკლავდა, მიქაბერიძემ კი სამი ბრწყინვალე "სეივი" შეასრულა – ჯერ ხიდეშელის თავური მოიგერია, მერე პირისპირ გასულ გელაშვილს არ გაატანინა, ბოლოს კი ორიოდე მეტრიდან **ჯაბა დვალის** დარტყმულს გადაელობა.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ "ზესტაფონი" მეორე ტაიმში მეტოქეზე ზეწოლას გააგრძელებდა და გამარჯვების გოლს მაინც გაიტანდა, მაგრამ ვიტელები კიდევ უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდნენ,ფიზიკურ მომზადებაში სტუმრებს არ ჩამოუვარდებოდნენ და ბოლოსლა დაიწყეს ფრის შესანარჩუნებლად თამაში. მასპინძელთაგან ისევ ჩიმაკაძემ დაარტყა არაზუსტად, შეხვედრის დასკვნით ნაწილში კი ყველაზე შესამჩნევი შეცვლაზე შესული **რატი ნინამძღვრიშვილი** იყო, რომლის სამივე თავური ძალიან სახიფათო, მაგრამ ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

ნამატჩევ ვნებათაღელვაზე მიმოხილვის შესავალში გიამბეთ. მატჩის შედეგმა გული ზესტაფონელებს დასწყვიტა, მაგრამ ვეჭვობთ, "ვიტ ჯორჯიასთან" ჩემპიონობის სხვა პრეტენდენტებმა გაილაღონ. ასე რომ, თემქაზე მოპოვებულ ქულას სულაც არ ადევს იმ ქულების ფასი, "ზესტაფონი" შინ "კოლხეთსა" და "სიონთან" რომ დასჯერდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

02.04. ბოლნისი. თ. სტეფანია
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ოლიმპი | 0 |

1:0 შალამბერიძე (86).

| სიონი 4-2-3-1 | ოლიმპი 4-2-3-1 |
|---|---|
| მერლანი | ბათიაშვილი |
| კოზაური | ქემოკლიძე |
| სვანიძე | კვახაძე |
| დიდავა | გ. რეხვიაშვილი |
| ორბელაძე | დობროვოლსკი |
| გოგობერიშვილი | რაზმაძე |
| ნოზაძე | ტყემალაძე |
| გ. რეხვიაშვილი | ქავთარაძე |
| ქუცურუა | დ. გოლქვაძე |
| ადამაშვილი | გენაძე |
| რ. ჯიქია | მოდებაძე |
| მწვრთნელი: ხ. ქასრაშვილი | მწვრთნელი: თ. მაისურაძე |

**სიონი**

3. მერლანი - **ზუხბაია**
46. რეხვიაშვილი – **შალამბერიძე**
73. ადამაშვილი – **გ. ოქროპირიძე**

*სათადარიგოები: თარგამაძე, მელქაძე, ქორიძე, მ. ოქროპირიძე.*

**ოლიმპი**

59. კვახაძე - **პავლიაშვილი**
67. გენაძე – **გ. ჭელიძე**

*სათადარიგოები:* **ბედიაშვილი, უგულავა, ბახტაძე, სეთურიძე, გორდეზიანი.**

გაფრთხილება: **ორბელაძე (45), კვახაძე (56), ტყემალაძე (70), რაზმაძე (77).**
არბიტრი: **თ. გვანცელაძე (სამტრედია)**

# ბოლნისში დინამომ გაიმარჯვა

მატჩი მთავრდებოდა. "ოლიმპი" უტევდა, როდესაც "სიონის" კონტრშეტევა გამოეპარა, **კობა შალამბერიძე** საჯარიმოს სიახლოვეს მოხდენილი ცრუ მოძრაობით რუსთაველთა მცველს გაექცა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და გამარჯვების გოლი გაიტანა – 1:0.

მანამდე თამაში დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა, მაგრამ საგოლე მომენტები იშვიათად იქმნებოდა.

არადა, შეხვედრა მასპინძლებისთვის ძალიან ცუდად დაიწყო: მე-3 წუთზე "სიონის" მეკარე **მირზა მერლანი** ბურთის შეყვანისას მოულოდნელად წაიქცა, კუნთი დაეჭიმა და ექიმების დახმარებით გაიყვანეს მოედნიდან.

ცხადია, აუტსაიდერი ჩემპიონთან ქულის მოპოვებასაც წარმატებად ჩათვლიდა და "სიონი" ფრთხილად თამაშობდა. რეალურად მასპინძელთა დაცვაში ხუთი ფეხბურთელი იდგა, დანარჩენები კი "ოლიმპს" პრობლემებს თითქმის ვერ უქმნიდნენ. ორივე გუნდს ჰყავდა **გიორგი რეხვიაშვილი** და ჯერ სიონელმა ნახევარმცველმა სცადა შორეული დარტყმით ანგარიშის გახსნა, შემდეგ რუსთაველთა ცენტრალურმა მცველმა დაარტყა ახლო მანძილიდან, მაგრამ სეხნია-მოგვარეებს სიზუსტე დააკლდათ.

27-ე წუთზე კი **ირაკლი მოდებაძეს** შეეძლო გატანა, როდესაც "სიონის" მცველი **დავით სვანიძე** უხეშად შეცდა და მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ "ოლიმპის" ფორვარდს **სერგო ორბელაძემ** დაასწრო და მასპინძლები გადაარჩინა.

42-ე წუთზე **რეზო ჯიქია** "ოლიმპის" რეხვიაშვილს გასცდა და საჯარიმოში შევარდნილი წაიქცა, ბოლნისელები პენალტს ითხოვდნენ, არბიტრმა კი შეხვედრა გააგრძელა და ვფიქრობთ, მართალიც იყო.

"სიონი" მეორე ტაიმში გამოცოცხლდა, მაგრამ 86-ე წუთამდე საგოლე მომენტი არ შექმნილა, მერე კი იყო შალამბერიძის გოლი.

"ოლიმპმა" მწვავედ შეუტია. დასამახსოვრებელი იყო გიორგი რეხვიაშვილის შესრულებული საჯარიმო, როდესაც ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე კი კარის წინ მარტო დარჩენილი მოდებაძე წაიქცა, ხელით ითამაშა და ანგარიშის გათანაბრების შანსი ხელიდან გაუშვა.

ბოლნისის "სიონმა" რუსთავის "ოლიმპი" ბოლო წლებში პირველად დაამარცხა და ამ შედეგმა, აგრეთვე "ზესტაფონის" ნაფორხილებებმა "დინამო" საჩემპიონო ბრძოლას დაუბრუნა - ლიდერებთან თბილისელთა ჩამორჩენა საკმაოდ შემცირდა. თუმცა ამაზე ჩემპიონატის ბოლოს ვილაპარაკოთ.

**მერაბ მამულაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

● დაბრუნება გაბრუნებით

# შალამბერიძე ისევ პოლონეთს აპირებს

**კობა შალამბერიძის** ულამაზესი გოლით ბოლნისის "სიონმა" შაბათს საქართველოს ჩემპიონ "ოლიმპთან" სენსაციური გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

*"მთავარი შეხვედრისთვის სწორი მომზადებაა, რაც "სიონმა" მოახერხა და მნიშვნელოვანი სამი ქულა დავიმსახურეთ. პირადად მე ოფიციალურ შეხვედრებში გოლი ერთი წელია არ გამიტანია, რაზეც ძალიან ვნერვიულობდი. ასე რომ, ძალიან მიხარია, მატჩი ჩემი გოლით მოვიგეთ და "მშრალი" თამაშების სერიაც შევწყვიტე"* – ამბობს შალამბერიძე.

შალამბერიძე პოლონეთის „ექსტრაკლასას" აუტსაიდერ „ოდრაში" წინა სეზონში ჩაირიცხა, შემდეგ გუნდი ლიგიდან გავარდა. ამის მიუხედავად, კობას თამაშს დადებითად აფასებდნენ, თუმცა ზამთარში გუნდი დატოვა.

26 წლის ნახევარმცველს პოლონეთის მეორე ლიგის „ლოძი" იწვევდა, მაგრამ შალამბერიძეს პოლონეთის საკონსულომ ვიზა არ მისცა და საქართველოში დაბრუნება მოუხდა.

ბოლნისის "სიონში" ამის შემდეგ აღმოჩნდა, მაგრამ კვლავ პოლონეთში დაბრუნებას აპირებს: *"პოლონეთში დიდი პრობლემა შემექმნა იქიდან გამომდინარე, რომ „ოდრას" ჩემი დავალიანება ჰქონდა. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციაში შეტანილი საჩივრის საფუძველზე კონტრაქტი გამიწყვიტეს. შემდეგ ვიზის პრობლემა შემექმნა, გუნდი 8 თებერვალს მელოდა, მე კი ვიზას 15 თებერვალს ვიღებდი, ვიგვიანებდი და ახალ გუნდში ვერ ჩავირიცხე. არადა, "ლოძთან" ყველაფერი შეთანხმებული მქონდა. სხვა გუნდებიც მიწვევდნენ, ლეხნას "გურნიკი", უმაღლესი ლიგის "კრაკოვია", ტრნავას "სპარტაკი", მაგრამ დავრჩი საქართველოში. არაფერია, აქ დროებით ვითამაშებ და მაისიდან ისევ პოლონეთში წავალ".*

**მერაბ მამულაშვილი**




კობა შალამბერიძე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარს ქარიშხალი ხომ არ სჯობდა?!

## გაუფერულებული კლასიკო

02.04. ქუთაისი. ტორპედო. 5000 მაყურებელი

**ტორპედო 0**
**დინამო 0**

| ტორპედო | დინამო |
|---|---|
| 4-4-2 | 4-2-3-1 |
| მიგინეიშვილი | ლორია |
| ფოფხაძე | თ. ლონლაძე |
| ს. თოდუა | ჰომოლა |
| ფარულავა | კაკუბავა |
| ჩიკვილაძე | ხმალაძე |
| სეთურიძე | ჯუისი |
| დილმელაშვილი | ჰაჯიბულიჩი |
| გ. დათუნაიშვილი | არზიანი |
| თარხნიშვილი | კოშკაძე |
| მეგრელაძე | კახელიშვილი |
| საბანაძე | იელიჩი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გიგატაძე | კ.კაჭარავა |

**ტორპედო**

88. თარხნიშვილი - **დ. კირკიტაძე**
90. საბანაძე- **რ. გოცირიძე**
*სათადარიგოები: ქვილითაია, ჩხეტიანი, გურული, ქებაძე, ბაკურაძე*

**დინამო**

54. იელიჩი - **ტატანაშვილი**
58. ჰაჯიბულიჩი - **კვეკვესკირი**
71. ჯუისი - **რობერტინიო**
*სათადარიგოები: ზარქუა, თომაშვილი, ფირცხალავა, თექთურმანიძე*

გაფრთხილება: ჰომოლა (66)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

„დინამო" საჩემპიონო მარათონშია ჩართული და მისთვის თითოეულ ქულას დიდი მნიშვნელობა აქვს. „ტორპედოც" ცდილობს, სატურნირო ცხრილში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავოს. სატურნირო ინტერესიც რომ არ ყოფილიყო, „ქართულ კლასიკოს" არასდროს აკლდა ინტრიგა და ახლაც დიდი მატჩის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ ცუდმა ამინდმა ეს დაპირისპირება წაახდინა...

სინოპტიკოსებმა იმ დღეს დასავლეთ საქართველოში ისეთი საშინელი ამინდი იწინასწარმეტყველეს, მათი პროგნოზი ბოლომდე რომ გამართლებულიყო, მატჩი აუცილებლად გადაიდებოდა (ისე, თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ეს იქნებ უკეთესიც ყოფილიყო). ქარი მაინც საკმაოდ ძლიერად ქროდა, რამაც ქართულ კლასიკოს დაღი დაასვა. სტადიონზე მოსალოდნელზე გაცილებით ცოტა გულშემატკივარი შეიკრიბა და მეტოქეების დიდი მცდელობის მიუხედავად, თამაშიც არ გამოდგა ისეთი, როგორსაც ამ ორი გუნდის პაექრობისას ვართ ნაჩვევი. პირიქით, „ტორპედოსა" და „დინამოს" შორის ასეთი უფერული დაპირისპირება ძნელი გასახსენებელია. ფაქტობრივად, მეკარეებს საქმე არ ჰქონიათ. **ლორიას** და **მიგინეიშვილს** მხოლოდ თითოჯერ მოუხდათ მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევის მოგერიება.

რიონისპირელებს ნამყვანი ფეხბურთელები დაუბრუნდნენ და, წინა მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. ნახევარდაცვაში **დოლიძის, გიგაურისა** და **ქებაძის** ნაცვლად **სეთურიძემ, დილმელაშვილმა** და **დათუნაიშვილმა** ითამაშეს. დაცვის ცენტრში **მაჭავარიანის** მაგივრად **თემურ ფარულავა** გამოჩნდა, თავდასხმაში კი გამოცდილ **მეგრელაძეს ნიკა საბანაძე** შეუწყვილდა. დინამოელთა რიგებში ერთადერთი ცვლილება იყო - **რობერტინიოს** ნაცვლად ძირითადში **ჯუისმა** ითამაშა. „სიონთან" მატჩის შემდეგ თბილისელთა დაცვას ცვლილება არ შეხებია, შუა ხაზში კი „დინამომ" ორი საყრდენი, **ჰაჯიბულიჩი** და **არზიანი** ათამაშა. ფლანგებიდან შეტევას ჯუისი და **კახელიშვილი** აძლიერებდნენ, შუაში **კოშკაძე** იყო, წინ კი **პეტარ იელიჩი** მოქმედებდა.

თავიდან ორივე მხარეს ბევრი წუნი ჰქონდა, შემდეგ კი მასპინძლების უპირატესობა გამოიკვეთა, რომლებმაც პირველი სახიფათო მომენტი მე-8 წუთზე შექმნეს, საბანაძე მცველებს დაუსხლტა და **თარხნიშვილს** გადააწოდა, თუმცა, დინამოელებმა შეძლეს მდგომარეობის განმუხტვა. მალევე საბანაძე საჯარიმოში შეჭრილი მეგრელაძის მისამართით აკეთებდა სახიფათო გადაცემას, მაგრამ **ხმალაძემ** თანაგუნდელები ხიფათისგან იხსნა. დინამოელებმა მასპინძლებს მწვავე შეტევით უპასუხეს - კახელიშვილმა კოშკაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მიგინეიშვილი უკეთეს პოზიციაში იყო და დინამოელთა კაპიტანს გამოსვლაზე დაასწრო. მე-17 წუთზე თბილისელთა კართან სახიფათო საჯარიმო დაინიშნა. **თენგიზ ჩიკვილაძეს** ასეთი პოზიციიდან არაერთხელ გაუტანია, თუმცა ამჯერად ბურთი ხარიხას გადასცდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ჩიკვილაძემ საბანაძე მოძებნა, მაგრამ კართან ახლოს მდგომმა ქუთაისელთა ახალგაზრდა ფორვარდმა მცველებთან ბრძოლაში მიიღო ბურთი და შემობრუნებით ხეირიანად ველარ დაარტყა. პირველი ტაიმი ისე მიილია, საინტერესო ალარაფერი მომხდარა. სამწუხაროდ, მატჩის სცენარი დიდად არც შესვენების შემდეგ შეცვლილა 48-წუთზე თარხნიშვილის ჩაწოდებას სეთურიძემ თავური მიაყოლა, ლორიას არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება, მაგრამ ეს ეპიზოდი მაინც აღსანიშნავია, რადგან ამ მომენტამდე გუნდებს კარის ჩარჩოში საერთოდ არ მოუხვედრებიათ ბურთი. რიონისპირელთა მორიგი შეტევისას სტუმართა საჯარიმოში საბანაძე წაიქცა და გულშემატკივრები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ **ვადაჭკორიას** თამაში არ შეუჩერებია. 70-ე წუთზე დინამოელებს ანგარიშის გახსნის რეალური შანსი მიეცათ. შეცვლაზე შესულმა **ტატანაშვილმა** ქუსლით კახელიშვილს გადააწოდა, ეს უკანასკნელი ქუთაისელთა კარს მახვილი კუთხიდან მიუახლოვდა, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. 78-ე წუთზე მეგრელაძის თავური პასის შემდეგ საბანაძე დარჩა კარგ პოზიციაში, მაგრამ ლორია დროულად ჩაერთო თამაშში და ქუთაისელთა ფორვარდს დარტყმა არ დაანება. ორიოდე წუთში კოშკაძე ურტყამდა ხელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ მისი დარტყმაც უზუსტო გამოდგა. დარჩენილ დროში საინტერესო ალარაფერი მომხდარა, ქართან და ერთმანეთთან მებრძოლმა გუნდებმა შეხვედრა ლოგიკური ფრით დაასრულეს.

**კახა კაჭარავა (დინამო):** „ძალიან ცუდი ამინდი იყო, მოედნის საფარიც არ იყო სათანადო მდგომარეობაში, რამაც გუნდებს სანახაობრივი თამაშის ჩვენების საშუალება არ მისცა. ფეხბურთელებმა შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინეს. თანაბარი თამაში იყო და ვფიქრობ, შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა."

**გია გიგატაძე (ტორპედო):** „ასეთ ამინდში კარგი ფეხბურთის თამაში შეუძლებელია. გუნდებმა ბევრი იბრძოლეს და ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ. ვფიქრობ, სამართლიანი შედეგი დაფიქსირდა."

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



ფოტო: www.fctorpedo.ge

02.04. ფოთი. ფაზისი 1500 მაყურებელი

**კოლხეთი 0**
**სპარტაკი 0**

| კოლხეთი | სპარტაკი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| ძაგანია | გრიშიკაშვილი |
| გავაშელიშვილი | ჭაფოძე |
| ცხვიტარია | ტეტუნაშვილი |
| ინწკირველი | მანჩხავა |
| მახვილაძე | გოიოძო |
| გოგონაია | დეკანოიძე |
| პ. დათუნაიშვილი | ხაჭვანი |
| გვალია | მამუჩიშვილი |
| ზ. ჯანაშია | უგრეხელიძე |
| მეგრელიშვილი | ვ. ბოლქვაძე |
| წიქარიშვილი | მეტრეველი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფილია | ბ. კვარაცხელია |

**კოლხეთი**

76. გოგონაია - **კვერენჩხილაძე**
80. მეგრელიშვილი - **მდივნიშვილი**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, გელაჭეიშვილი, ქორჩილავა, მოისწრაფიშვილი, გულუა*

**სპარტაკი**

30. ბოლქვაძე - **ჯაკობია**
68. ხაჭვანი - **გ. ალავიძე**
90. უგრეხელიძე - **სეფიაშვილი**
*სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, ბარაბაძე, თუხარელი*

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

# ფაზისური ქარტეხილები

## წაილო: ქარმა ფილიას ნაშრომი, კვარაცხელიამ ქულა



ავტორის ფოტო

თავიდანვე ვიტყვით, რომ შაბათის ფაზისურ შეხვედრას უამინდობამ თავისი კვალი დაატყო - დილიდანვე ამოვარდნილმა ქარმა თამაშის მიმდინარეობისას უფრო იმატა და გუნდებს ნორმალური თამაშის საშუალება არ მიეცათ. გასაკვირი არც ის არის, რომ მეტოქქბი ასეთ ამინდში ხიფათს ვერ ქმნიდნენ და პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ გოლი იღბლისა და შემთხვევითობის წყალობით თუ იქნებოდა.

თუმცა, 90 წუთი ისე გაილია, „შემთხვევითი" ხიფათიც არ შექმნილა. ერთობ კურიოზული სიტუაციები იქმნებოდა, როცა გუნდები ჯარიმასა თუ კუთხურს ასრულებდნენ —ბურთი ადგილზე არ ჩერდებოდა და დამრტყმელს თანაგუნდელის დახმარება (ბურთზე ფეხის დაჭერა) სჭირდებოდა.

მოლოდინისამებრ, მცირეოდენ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. ორი საგოლე მომენტიც შექმნეს, ოლონდ ქარის დაუხმარებლად და **ცხვიტარიას** მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, ორი თავურიდან ერთს მაინც გაიტანდა. გატანა სტუმრებსაც შეეძლოთ, თუმცა ამას ხიფათისმაგვარი უფრო ეთქმოდა — ფლანგიდან მეკარის ბაქანში გამჭოლი გადაცემა კოლხთა დაცვამ ორჯერ კი გაატარა, მაგრამ სპარტაკელთაგან დამრტყმელი არავინ ალმოჩნდა.

მეტი გამოსარჩევი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით კოლხთა რიგებში **ზამირ ჯანაშიასა** და **პავლე დათუნაიშვილის**, ხოლო ცხინვალელთა გუნდში შეცვლაზე შესული **ლაშა ჯაკობიას** გამოჩენას.

სულ ეს იყო, კონკურენტებმა ქულები გაიყვეს, რამაც მასპინძლები უკმაყოფილო, ხოლო სტუმრები გახარებული დატოვა.

**ბადრი კვარაცხელია (სპარტაკი):** „ფოთში თამაში ყოველთვის რთულია, სოსო ფილიას მოსვლის შემდეგ გუნდი აშკარად უკეთ ათამაშდა, ამიტომაც გულახდილად გეტყვით, რომ ფრე ჩვენთვის მისაღები შედეგი იყო. ბიჭების კმაყოფილი ვარ. ამინდმა თამაშს თავისი დაღი დაასვა. მიმაჩნია, რომ შედეგი ლოგიკურია".

**სოსო ფილია (კოლხეთი):** „დღევანდელ ამინდში შეუძლებელი იყო ტაქტიკური მონახაზის მოედანზე გადატანა. არადა, ბევრი ვიშრომეთ, მეტოქის წინა შეხვედრა განვიხილეთ, მომზადებულნიც ვიყავით, მაგრამ ქარმა გეგმები აგვირია. ბადრი არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ ასეთ ამინდში მოგებაზე მოთამაშე გუნდთან შედარებით უპირატესობა იმ გუნდს აქვს, ვისაც ფრეც აკმაყოფილებს. თუმც ორი კარგი მომენტი გვქონდა და ქარს გავატანეთ".

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

02.04. სამტრედია. ე. მანჯგალაძე 500 მაყურებელი

**სამტრედია 3**
**ბაია 0**

1:0 ხუმარაშვილი (3), 2:0 ბურჯანაძე (28), 3:0 ლომაშვილი (46)

| სამტრედია | ბაია |
|---|---|
| 4-4-2 | 4-2-3-1 |
| ჯინჭარაძე | სომხიშვილი |
| შალიკაშვილი | სვირავა |
| ხუმარაშვილი | აქუბარდია |
| გოგია | გამრეკლიძე |
| კირთაძე | ონიანი |
| ცხადაია | ვართაგავა |
| ლომაშვილი | რიგვავა |
| მიქაბერიძე | სიხარულია |
| ბურჯანაძე | ლომია |
| ალავერდაშვილი | წურწუმია |
| ჩხიკვაძე | ეხვაია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ლ. ანჯაფარიძე | ე. ქომეთიანი |

**სამტრედია**

76. ალავერდაშვილი – **რუხაია**
77. კირთაძე – **ენდელაძე**
86. ბურჯანაძე – **ხვადაგიანი**
*სათადარიგოები: კეკელიძე, ნინუა, ახობაძე, დვალიშვილი*

**ბაია**

46. რიგვავა – **ქობალია**
46. აქუბარდია – **აფაქიძე**
66. გამრეკლიძე – **ქვარცხავა**
*სათადარიგოები: მაქაცარია, შონია, ჩანგელია, ქირია*

გაფრთხილება: კირთაძე (58)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# სამქულიანი ოპტიმიზმი

ძლიერი ქარის გამო თამაშის ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მატჩი მასპინძლებმა ხეირიანად მეორე წუთიდანვე დაიწყეს — კუთხური სამტრედიელთა მცველმა **გიორგი ხუმარაშვილმა** ზუსტი თავურით დაასრულა. გაშვებულმა გოლმა სტუმრები შეაფუცხუნა და წონასწორობის აღდგენას შეეცადნენ. **ლომია-რიგვავა-ეხვაიას** კომბინაცია **სიხარულიამ** ძლიერი დარტყმით დაასრულა, თუმცა ბურთი კარის ჩარჩოს ააცილა. კომბინაციები და ბურთის კონტროლი ძლიერი ქარის გამო შეუძლებელი ხდებოდა, ამიტომ გუნდები სახიფათო მომენტების შექმნას კარის სიახლოვეს მაღალი ჩაწოდებებით და სტანდარტულებით ცდილობდნენ. ამასობაში მასპინძლებმა სახიფათო ჯარიმაც დაარტყეს, თუმცა **ლომაშვილმა** კარს მცირედით ააცილა, რასაც ორ წუთში სტუმართა ჯარიმა მოჰყვა. აქ კი **სიხარულიას** დარტყმული ბურთი ხარიხას გადაევლო. უამინდობა ვახსენეთ, რის გამოც შეცდომებიმრავლად იყო და სტუმართა მცველების ერთ-ერთი ასეთი შეცდომის შედეგად კვლავ მასპინძლებმა იხეირეს — **ბურჯანაძემ** უპირატესობა 28-ე წუთზე ორამდე გაზარდა. "ბაიას" თავკაცმა მეორე ნახევრის დასაწყისში ფორვარდი და მცველი ერთდროულად შეცვალა: **ქობალია-აფაქიძის** დუეტით "ბაია" გარდატეხისთვის ემზადებოდა, თუმცა აქვე ზუგდიდელთა მცველების შეცდომით **ლომაშვილმა** იხეირა და აუტიდან მოწოდებული ბურთი პირდაპირ კარში გადაგზავნა. ამის შემდეგ ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ზუგდიდელებს თამაშის შემობრუნება გაუჭირდებოდათ და ასეც მოხდა. თუმცა სტუმრებმა **ქობალიას** კარგი ინდივიდუალური თამაშით შეძლეს ყურადღების მიქცევა. ზუგდიდელთა ფორვარდმა ჯერ მცველებს არ მისცა მოსვენების საშუალება, შემდეგ სამტრედიელთა მეკარე **ჯინჭარაძეც** საკმაოდ ანერვიულა, ორჯერ სახიფათოდ დაურტყა და იმერელთა კარის დარაჯის სასახელოდ უნდა ითქვას, ორივეჯერ ბურთი აკრობატულ ნახტომში მოიგერია, ხოლო **ქობალიას** მესამე ყუმბარისებური დარტყმა ძელმა მოიგერია. ზუგდიდელთა გოლეადორი მხოლოდ ამ მომენტებით არ შემოფარგლულა და რამდენიმე წუთში ზედიზედ ორჯერ კუთხურიდან მოწოდებულს ორჯერვე სახიფათო თავურიც მიაყოლა, თუმცა პირველ ჯერზე კვლავ ჯინჭარაძემ ივარგა, ხოლო მეორედ ბურთი კარს მცირედით ასცდა. მატჩის შემდეგ სტუმართა გუნდის ხელმძღვანელობამ მარცხის ერთ-ერთ მიზეზად საკუთარი შეცდომები დაასახელა, რაც ქართულ საფეხბურთო რეალობაში იშვიათი შემთხვევაა.

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** "არანაირი გამართლება ჩვენს თამაშს არ აქვს, არც უამინდობა და არც მინდვრის საფარი. როგორც ფეხბურთელები, ისე ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ გავექცევით, ამიტომ ჩემი შეცდომით დავიწყებ - ქობალიას და აფაქიძეს პირველი ტაიმიდან არ მივეცი თამაშის საშუალება იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდული ნაკრების თამაშებიდან ვარჯიშზე წინა დღეს შემოგვიერთდნენ და გადაღლილები ჩანდნენ. ჩემი შეცდომა სწორედ ისაა, რომ ვისაც ვენდე, მათ ვერ გაამართლეს. თამაშს თავიდანვე ეტყობოდა, რომ ვინც მოსაგებად იყო დაგეშილი, შედეგსაც იმან მიაღწია. გამორიცხული არ არის, მომდევნო ტურებში ახალი სახეები გამოჩნდნენ შემადგენლობაში".

**ლევან ანჯაფარიძე (სამტრედია):** "დღევანდელ თამაშს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. წაგების მიუხედავად „ბაიამ" გვაჩვენა, რომ კარგად დაკომპლექტებული და ნებისმიერი მეტოქისთვის უხერხული გუნდია. უამინდობამ ორივე გუნდის შეუშალა ხელი, თუმცა სწრაფმა გოლებმა ჩვენს გუნდს სამი ქულის მოპოვება შეაძლებინა, რამაც ცოტა იმედიანად განგვაწყო. მომდევნო ორ ტურს სამტრედიაში ვატარებთ და ამ მოგებამ ფეხბურთლებს მეტი მოტივაცია შესძინა".

**ლაშა გოგილავა**
სამტრედიიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 27 | 17 | 5 | 5 | 52 | 15 | 56 |
| 2 | ოლიმპი | 27 | 16 | 6 | 5 | 40 | 20 | 54 |
| 3 | დინამო | 25 | 13 | 8 | 4 | 35 | 12 | 47 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 26 | 12 | 3 | 11 | 29 | 30 | 39 |
| 5 | ბაია | 26 | 10 | 5 | 11 | 25 | 34 | 35 |
| 6 | ტორპედო | 27 | 8 | 10 | 9 | 17 | 17 | 34 |
| 7 | სიონი | 27 | 7 | 8 | 12 | 17 | 33 | 29 |
| 8 | სპარტაკი | 27 | 6 | 7 | 14 | 26 | 32 | 25 |
| 9 | კოლხეთი | 27 | 6 | 7 | 14 | 16 | 37 | 25 |
| 10 | სამტრედია | 27 | 6 | 5 | 16 | 23 | 50 | 23 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 12 (1) |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 11 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |

**XXVIII ტური**
**6 აპრილი. ოთხშაბათი**

სპარტაკი-დინამო
სიონი-ბაია
სამტრედია-კოლხეთი
ტორპედო-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია

# ზვიად სიჭინავა: გოგუას ამბავზე აჟიოტაჟი არ ღირს



ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია თელ ავივის სასტუმროში

ილუზიები არას გვარგებს - საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის უპირველესი კანდიდატი ნაღდად არ არის, მაგრამ სატურნირო ეკვატორს დამაიმედებელი შედეგით გადავაბიჯეთ.

ეგაა, ხორვატიასთან მოგების შემდეგ დასანანი იყო ისრაელში წაგების ერთ-ერთი მიზეზი: უეფა ორმატჩიან შეხვედრებს ოთხდღიან პერიოდში ატარებს, მაგრამ რატომღაც ხორვატიასთან უმძიმესი მატჩის შემდეგ ჩვენებმა თელ ავივში ორი დღის მერე ითამაშეს. არ ვამბობთ, რომ თელ ავივშიც აუცილებლად უნდა მოგვეგო, მაგრამ ასეთ მძიმე და პრინციპულ შეხვედრებს შორის ისედაც მცირე შუალედის კიდევ უფრო შემცირებით, ცხადია, მასპინძელმა ისრაელმა იხეირა. ებრაელებმა მანამდე ლატვია მიიღეს და ჩვენებივით მგზავრობაში დრო და ენერგია არ დახარჯეს.

მართლაც, ქართველმა ფეხბურთელებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს და გადაღლილებმა ჩვეული ბრძოლისუნარიანობა ვერ გამოავლინეს. არადა, შეხვედრა 7 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ კალენდრის შედგენისას ისრაელის მხარემ მატჩის 29 მარტისთვის გადატანა ითხოვა, რადგან 7 ოქტომბერს ისრაელში რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავენ.

თამაშის შემდეგ გულშემტკივარი გაოცებული კითხულობდა, როგორ დათანხმდა ჩვენი ფედერაცია ასეთ კალენდარს, ისედაც ცხადი არ იყო, რომ სამდღიანი პაუზა საკმარისი არ იქნებოდა? კითხვით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** მივმართეთ.

*"ბევრმა არ იცის, კალენდარი როგორ დამტკიცდა და რომ ეს ჩვენი მოგონილი არ არის: ვარშავაში კენჭისყრის დაწყებამდე, როდესაც არ ვიცოდით, ჩვენი მეტოქეები რომელი ნაკრებები იქნებოდნენ, უეფამ ფედერაციების ხელმძღვანელებს გვითხრა, ბატონებო, ვისაც ისრაელი შეგხვდებათ, გაითვალისწინეთ, რომ ეს ნაკრები პარასკევს არ თამაშობსო, რადგან ებრაელებისთვის ეს მნიშვნელოვანი დღეა, პარასკევ საღამოდან შაბათ საღამომდე სტადიონის კარსაც კი არ გააღებენ და მათ რელიგიურ გრძნობებს ანგარიშს უწევენ.*

ვარშავაში მონოდებული კალენდრის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ხორვატია იყო. ასე გაგრძელდა უეფას ოფისში, ნიონში და ათენშიც, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს. უეფამ ბრმა კენჭისყრის ჩატარება გადაწყვიტა. ათენში კალენდრის შედგენაში ფედერაცია არ მონაწილეობდა, იქ ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია იმყოფებოდა. მატჩებს შორის ორდღიანი პაუზა კი მარტო ჩვენს ქვეჯგუფშია, რადგან, როგორც გითხარით, პარასკევ საღამოდან შაბათ საღამომდე ებრაელები არ თამაშობენ.

*ჩვენ რომ გვეთქვა, ამა და ამ დღეს საქართველოში წმინდა ნინოს დღესასწაულიო, შეღავათს არავინ გაგვიწევდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - ისრაელის ნაკრების მწვრთნელი ფრანგია, შეხვედრას კი ფრანგთა ბრიგადა ემსახურებოდა. მოედანიც ზედმეტად იყო მორწყული, რაზეც წინასწარ არ გაგვაფრთხილეს, ჩვენს ფეხბურთელებს შესაფერისი ბუცებით რომ ეთამაშათ. მე კი ვფიქრობ, რომ მოწინააღმდეგეები თანაბარ პირობებში უნდა თამაშობდნენ. აღარც მინდა ამაზე ლაპარაკი,"* – გვითხრა სიჭინავამ.

რა მოხდა ეროვნულ ნაკრებში ხორვატიასთან მატჩის მეორე დღეს და რატომ ვერ გაემგზავრა ისრაელში **გოგიტა გოგუა?**

*"თემურ ქეცბაიამ ისრაელში გოგუას გარეშე წასვლა გადაწყვიტა და მის გადაწყვეტილებაში ვერავინ ჩაერევა. ამაზე ყურადღების გამახვილება და აჟიოტაჟი არ ღირს. მოხდა ის, რაც მოხდა, არაფერი განსაკუთრებული, ეს არ იყო კონფლიქტი. კონფლიქტი ისაა, ერთმანეთს რომ აგინებენ, ასეთი რამ კი არ ყოფილა. ვფიქრობ, ყველაფერი ისე გადაწყდება, ეროვნული ნაკრების ინტერესი რომ არ დაზარალდეს. მე კი დარწმუნებული ვარ, ისრაელში უფრო აზრიან და შემტევ ფეხბურთს ვაჩვენებდით, ანანიძე და ასათიანი რომ გვყოლოდა,"* – ამბობს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

ფედერაციის თავკაცმა გასულ წელს ნაკრებებში მწვრთნელთა დანიშვნის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გარკვევით თქვა – თუკი ნაკრები ზედიზედ სამ შეხვედრას წააგებს, მისი მწვრთნელი გათავისუფლდებაო. თუმცა სიჭინავა არ მალავს, რომ საფრანგეთში გამართულ ელიტრაუნდში წარუმატებლობის მიუხედავად, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კობა ჟორჟიკაშვილი** დასაკარგი სპეციალისტი არ არის: *"ჩვენთან A და PRO კატეგორიის ლიცენზიები ბევრ მწვრთნელს არ აქვს და, აქედან გამომდინარე, ჟორჟიკაშვილს მსგავსი სპეციალისტის დაკარგვის უფლება არ გვაქვს. ამიტომ ვფიქრობ, მისი დასაქმება სხვა მიმართულებითაც შეიძლება და საჭიროც არის".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ხოჯავას ბენეფისი

## თეთრაძემ გოგუა გააკრიტიკა

დიდი შანსია, მომავალ სეზონში **ლევან კობიაშვილი** ისევ ბუნდესლიგაში ვიხილოთ - ბერლინის „ჰერტა" 59 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს მეორე ბუნდესლიგაში. ქართველის გუნდმა შინ 2:0 მოუგო „პადერბორნს", ორმატჩიანი პაუზის შემდეგ გუნდს კობიაშვილი დაუბრუნდა. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" „ოსნაბრუკს" 2:2 დაუზავდა, ქართველი კაპიტანი მე-80 წუთზე შეცვალეს. „კარლსრუეს" გავარდნის ზონას მხოლოდ 2 ქულა აშორებს. „შპორტალმა" კობიაშვილს 3,5 ბალი დაუწერა, იაშვილს - 4,5.

რუსეთის პრემიერლიგის ყველაზე ქართულმა გუნდმა „ვოლგამ" ნიჟნი ნოვგოროდში მოსკოვის „დინამო" 3:0 გაანადგურა. **ომარ თეთრაძის** გუნდში საუკეთესოები კვლავ ჩვენებურები იყვნენ. გუნდის დაცვას **ლაშა სალუქვაძე** და **გია გრიგალავა** ამაგრებდნენ, ნახევარდაცვაში **გოჩა ხოჯავა** და **გოგიტა გოგუა** მოქმედებდნენ, წინ კი **ოთარ მარცვალაძე**. უნდა ითქვას, რომ ხოჯავასა და ესპანელი **მარკ კროსასის** წყვილმა პირწმინდად დაჩაგრა **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** და ახლახან თბილისში დამარცხებული ხორვარტი **ტომისლავ დუიმოვიჩი**. შეხვედრა ხოჯავას ბენეფისად იქცა - 26 წლის ქართველმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა. 63-ე წუთზე მან ორი დინამოელი მოატყუა და დიდებული პასი მიაწოდა **პლეშანს**. ორ წუთში გოჩამ თითქმის აუტის ხაზიდან დაარტყა საჯარიმო, მეკარე შეცდა და მან ბურთი ფეხებს შორის გაუშვა. „ვოლგას" მესამე გოლისასაც კომბინაცია გოჩამ წამოიწყო, შემდეგ ბურთი მარცვალაძეს გადააწოდა, რომელმაც თავის აქტივში საგოლე პასი ჩაიწერა.

„ჩემპიონატმა" თამაშის საუკეთესო ფეხბურთელად ხოჯავა დაასახელა - 7 ბალი (მის უშუალო მეტოქე დუიმოვიჩს 4,5 ბალი დაუწერეს). მარცვალაძემ (რომელიც 82-ე წუთზე შეცვალეს) 6,5, სალუქვაძემ და გრიგალავამ კი 6-6 ბალი დაიმსახურეს, ყველაზე ცუდი შეფასება გოგუას ჰქონდა (5), რომელმაც პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო შესვენებაზე თეთრაძემ შეცვალა. **მათე ვაწაძე** „ვოლგას" განაცხადში არ ყოფილა, მას არც სარეზერვო გუნდების მატჩში (სადაც **დავით კოხიამ** ითამაშა) მიუღია მონაწილეობა.

შეხვედრის შემდეგ თეთრაძეს გოგუას შეცვლაზე დაეკითხნენ: *„წინ აგრესია გვაკლდა, ამიტომ შევიყვანე ახმეტოვიჩი, რომელმაც გაამწვავა თამაში. გოგუა კი ანსამბლიდან ამოვარდნილი იყო. „დინამოსგან" მთელი ხიფათი მისი, მარცხენა ფლანგიდან მოდიოდა".*

**გოჩა ხოჯავა:** *„ვიცოდით, რომ „დინამო" ძლიერი გუნდია. დაგვავალეს პრესინგი და შევასრულეთ კიდეც. გამარჯვებას ჩემს შვილს ვუძღვნი, ვიცი, რომ მან ამ თამაშს საქართველოში უყურა".*

ტრავმირებული **ჯანო ანანიძის** გარეშე მოთამაშე მოსკოვის „სპარტაკმა" კრასნოდარში უშანსოდ წააგო „ყუბანთან" - 1:3. ნალჩიკში „სპარტაკი" 2:2 დაუზავდა „ზენიტს", მწვრთნელმა **ეშტრეკოვმა დავით სირაძე** სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

„ანჟი"-"რუბინის" რეზერვისტთა შეხვედრაში (0:3) ქართველთა დაპირისპირება შედგა - მასპინძელთა რიგებში 83-ე წუთამდე ითამაშა **გიორგი ილურიძემ**, რომელმაც პენალტი ვერ გაიტანა. სტუმრებში პირველი ტაიმი **საბა კვირკველიამ** ჩაატარა, მეორე - **ავთანდილ ბრაჭულმა**.

**ნუკრი რევიშვილმა** ყოფილი კლუბის, „რუბინის" წინააღმდეგ კარი „მშრალად" შეინახა და „ანჟის" გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა - 1:0. **ირაკლი კლიმიაშვილი** ისევ არ ჩანს დაღესტნურ გუნდში. ნუკრიმ 5 დარტყმა მოიგერია, განსაკუთრებით სახიფათო კი **დიადიუნისა** იყო მე-17 წუთზე. მეორე ტაიმში ჩვენებური დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს. **ალექსანდრე ამისულაშვილი** ცსკა-სთან მატჩში „კრასნოდარის" სასტარტო შემადგენლობაში იყო. 53-ე წუთზე ქართველმა მცველმა **იგნაშევიჩს** აჯობა, საჯარიმოში ჩააწოდა და **პიკუშაკს** გაატანინა - 1:1.

უკრაინულ პრემიერლიგაში 23-ე ტურის თამაშები გაიმართა. **თორნიკე ოქრიაშვილის** „ილიჩივეცი" „შახტარს" კი შეებრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა - 1:3. მოგეხსენებათ, ოქრიაშვილი გასულ სეზონში „შახტარის" დუბლებში ირჯებოდა. ამ თამაშში ის შესვენების შემდეგ გამოჩნდა. მატჩის შემდეგ **ვალერი იარმოლენკოს** ჰკითხეს, თუ რატომ არ ათამაშა ქართველი თავიდანვე, მაგრამ „ილიჩივეცის" მწვრთნელმა ჟურნალისტების კითხვას პროვოკაციული უწოდა და არ უპასუხა.

„ტავრია" შინ 0:0 დაუზავდა „ზარიას", რომლის რიგებშიც **ჯაბა ლიპარტიამ** 90 წუთი ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ლუგანსკელთა ყველა სტანდარტულს ქართველი ასრულებს. მასპინძელთა რიგებში სათადარიგო იყო **ვასილ გიგიაძე**. კიევის „არსენალის" რიგებში კვლავ არსად ჩანს **ალექსანდრე კობახიძე**. აი,



გოჩა ხოჯავა (ბურთით)

„დნიპროს" სკამზე კი გამოჩნდა **უჩა ლობჟანიძე**. **ჯაბა კანკავას** „კრივბასი" ვერას გახდა კიევის „დინამოსთან" და სტუმრად 0:3 დამარცხდა. 45-ე წუთზე ქართველმა სახიფათოდ, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა, 70-ე წუთზე კანკავა შეცვალეს.

ტრავმის შემდეგ გამოჩნდა **მათე ღვინიანიძე**, მაგრამ მისი „სევასტოპოლი" „ვორსკლამ" 4:0 გაანადგურა. მათემ 90 წუთი ითამაშა.

ინგლისში **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგი" აღარ ხუმრობს, „პორტსმუთის" 2:0 დამარცხების შემდეგ „როიალსი" პლეი ოფის ზონაში შევიდა 60 ქულით. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ქართველი მცველი, დაუბრუნდეს პრემიერლიგას. ამ თამაშში კი ის შეუცვლელად გაისარჯა. 73-ე წუთზე ჩვენებურს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ 5 მეტრიდან თავით ააცილა კარს.

საფრანგეთის ლიგა 2-ში **გიორგი მაკარიძისთვის** არაფერი შეცვლილა, „ლე მანი"-"ანჟერის" მატჩში ის სათადარიგო იყო, კარში კი **დიდიე ოვონო** იდგა. შეხვედრა 0:0 დასრულდა. „ლე მანი" 45 ქულით მე-3 ადგილზეა.

სერია ბ-ში „ემპოლი" „პადოვას" 2:2 დაუზავდა, **ლევან მჭედლიძემ** მასპინძელთა ერთ-ერთ მიღო გოლში მონაწილეობა. სერია A-ში კი „ჯენოას" მწვრთნელმა **კახა კალაძე** სათადარიგოთა სკამზე დასვეს „კალიარისთან" შეხვედრაში. ჰოლანდიაში „ვიტესმა" „ნიიმეგენი" 2:1 დაამარცხა, **გურამ კაშიამ**, რომელმაც ახლახან კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, შეუცვლელად ითამაშა.

პოლონურ ექსტრაკლასაში ლოძის „ვიძევი" შინ „არკას" 0:0 დაუზავდა, **ნიკა ძალამიძემ** პირველი ტაიმი ითამაშა. „ვიძევი" 25 ქულით მე-12 ადგილზეა.

ისრაელში **ლადო დვალიშვილის** „მაქაბიმ" სტუმრად იმარჯვა აკოს „ჰაპოელთან" - 2:0. 26-ე წუთზე ქართველმა ტრავმა მიიღო და შეცვალეს. თამაშს საქართველოს ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** დაესწრო. სერბეთში **გიორგი მერებაშვილის** გარეშე იმარჯვა „ვოივოდინამ" სტუმრად „მეტალაცთან" - 1:0.

ბერძნულ სუპერლიგაში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა" 1:0 მოუგო „ირაკლისს", ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა, ის პირველ ტაიმში გააფრთხილეს. მოიგო **დავით კვირკველიას** „პანიონიოსმაც", სალონიკის გუნდმა სტუმრად 2:1 დაამარცხა „კერკირა". კვირკველიამ მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. „ერგოტელისი" (36 ქულა) მე-8-ეა, „პანიონიოსი" (34 ქულა) - მე-10. უნგრულ „დიორი ეტოში" სათამაშო პრაქტიკა ჩვენებურთაგან მხოლოდ **რატი ალექსიძეს** აქვს, რომელიც „დებრეცენთან" მატჩში (1:1) 79-ე წუთზე გამოცვალეს.

აზერბაიჯანში ორი ქართული გოლი გავიდა, თავი **ნუგზარ კვირტიამ** (აზალ) და **გიორგი ბერიაშვილმა** („თურანი") გამოჩინეს. ბელარუსში გაიტანა **ზაზა ჭელიძემ** („ბრესტი"). კვიპროსში თავი **ლევან მაღრაძემ** („ერმისი") შეგვახსენა, ლატვიაში გაიტანა **დავით ტაბატაძემ** (ოლიმპსი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტური

# ფერგი რბის, ფერგი ღრიალებს!

გასულ უქმეებზე ლიდერებმა ქულები დაკარგეს. მხოლოდ მანჩესტერულმა გუნდებმა გაიმარჯვეს. კერძოდ, სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა მორიგი გმირობა ჩაიდინეს — „იუნაიტედი" „ვესტ ჰემთან" პირველი ტაიმის შემდეგ 0:2-ს აგებდა და მეორეში ოთხი გოლი გაიტანა. ოთხიდან სამი **უეინ რუნიმ** შეაგდო.

კიდევ, რუნიმ კამერაში შეიგინა და ბოდიშის მოხდამ მოუწია, თუმცა ამბობენ, ბოდიშმა შეიძლება არ უშველოსო. ვარსკვლავმა თქვა:

*„მინდა ბოდიში მოვიხადო ზღვარგადასული ზეიმის გამო. განსაკუთრებით იმ მშობლებს ვთხოვ პატიებას, რომლებიც ტელევიზორს შვილებთან ერთად უყურებდნენ. დაძაბული მატჩი იყო, აღელვებული გახლდით და სწორად ვერ მოვიქეცი. განზრახ არ შემიგინია, არავის შეურაცხყოფა არ მქონდა მიზნად დასახული".*

თავისი გუნდის თამაშით ფერგიუსონიც აღფრთოვანებული დარჩა. სერ ალექსმა თქვა:

*„დღეს ნამდვილი ჩემპიონებივით ვითამაშეთ. თავი მაღლა გვეჭირა და წარბი წუთითაც არ შეგვიხრია. მეორე ტაიმში სრულ უპირატესობას დავეუფლეთ. თამაშიც მოვლენებით იყო სავსე. თავიდან ორი გოლი გავუშვით და უმძიმეს მდგომარეობაში ჩავვარდით. ეს ნამდვილი გამოცდა იყო, რაიმე უნდა გველონა".*

ლონდონელებმა ამ შეხვედრაში ორი პენალტი დაარტყეს, თუმცა მეორე, რომელიც **ნემანია ვიდიჩის** მიერ **კარლტონ კოულის** ნაქცევისთვის დაინიშნა, ფერგიუსონის აზრით არ უნდა დანიშნულიყო — ვიდიჩმა წესი საჯარიმოს გარეთ დაარღვიაო. საინტერესოა, რომ თავისი ნათქვამის გასაწონასწორებლად და სამართლიანი კაცის იმიჯის მოსაპოვებლად სერ ალექსმა დასძინა, რომ სერბი მოგვიანებით, **დემბა ბას** ნაქცევისთვის გასაგდები იყო მოედნიდანმ.

„არსენალმა" ვინ მოთვლის უკვე მერამდენედ გაუცრუა ფანებს იმედი — შინ „ბლექბერნს" ვერაფერი მოუხერხა. არ გაუშვია, მაგრამ ვერც გაუტანა. ბურთის ფლობა იცოცხლეთ, „მეთოფეები" დარბოდნენ წინ და უკან, აწვდიდნენ ერთმანეთს პასებს, მაგრამ მეკარე **პოლ რობინსონი** სერიოზულად ერთხელაც ვერ შეაწუხეს. რაც შეეხება „როვერსს", რომელსაც ბოლო რვა თამაშიდან ხუთი წაგებული ჰქონდა, მატჩის მსვლელობისას საკუთარი ძალების წმენა უძლიერდებოდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მოედნიდან **სტივენ ნზონზის** გაგდებამაც კი ვერ შეაშინა. სტუმრებმა ბოლო 14 წუთი და მსაჯის დამატებული დრო რიცხობრივ უმცირესობაში გაატარეს, მაგრამ გოლი არ გაუშვიათ.

*„დღეს ძალიან ძნელი მატჩი გადავიტანეთ. ბოლოს, როდესაც მსაჯმა სტივენი გაგვიგდო, განსაკუთრებული შემართება ვაჩვენეთ, ერთ მუშტად ვიყავით შეკრული",* — თქვა „ბლექბერნის" მცველმა **კრის სამბამ**.

„ჩელსიმ" კი არ წააგო და ქალაქ სტოკის „ბრიტანია სთედიუმზე" სწორედ ეს იყო თვალშისაცემი. იმ შეხვედრაში ლონდონელთა მოგებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. „ლურჯების" მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ ახლა პრემიერლიგის ჩემპიონობაზე ლაპარაკი ძალიან ძნელი იქნება. იტალიელმა ბრძანა:

*„მთელი ძალითა და ღონით ვცდილობდით საუკეთესო შედეგის მიღწევას და უნდა ვაღიარო, რომ დღეს ჩვენთვის ფრე სწორედ კარგი შედეგი იყო. „სტოკს" საგოლე მომენტები ჰქონდა და გამარჯვებასთან ახლოს იყო. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩამორჩენას, ის ამ თამაშამდეც დიდი იყო და ახლა ხომ კიდევ უფრო გართულდა საქმე. ამიერიდან ცხრილის ყურებას თავი უნდა დავანებოთ და ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში მოგებისთვის ვიბრძოლოთ. ტიტულის მოპოვება წლეულს გაძნელდება და ეს ჩვენ „სტოკთან" შეხვედრის წინაც ვთქვით".*

„ბირმინგემმა" „ბოლტონს" 2:1 მოუგო და გასავარდნთა ზონას მოშორდა. გამარჯვებულთა გახარებული მწვრთნელი **ალექს მაკლიში** მატჩის შემდეგ თავის ფეხბურთელებს აქებდა და „ბოლტონის" ძლევას დიდი შედეგი უწოდა.

ვერ გაიხარა ბირმინგემის მეორე გუნდმა „ასტონ ვილამ" — მწვრთნელი **ჟერარ ულიე** ლივერპულის „გუდისონ პარკზე" ქულას დასჯერდა და ახლა გასავარდნთა ზონას მხოლოდ ორი ქულის სიმაღლიდან დაჰყურებს. არადა, „ევერტონმა" თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე დანიშნული პენალტის წყალობით გაქვითა ანგარიში.

*„აქედან ქულის წაღება ყოველთვის ძალიან ძნელი იყო, - თქვა პრესკონფერენციაზე ულიემ. - „ევერტონი" ყველასთვის რთული მეტოქეა. დღეს ჩვენ სამი ქულისთვის ვიბრძოდით და ვფიქრობ, დავამტკიცეთ, რომ მებრძოლი გუნდი ვართ, რომელიც ტოლს არავის დაუდებს".*

რაც შეეხება პენალტს, ულიემ თქვა, რომ მისი ბიჭების აზრით ის მეტისმეტად მსუბუქი კონტაქტისთვის დაინიშნა...

აი, ვესტ ბრომვიჩის „ჰოუთორნსზე" კი შურისძიება შედგა - „ლივერპულის" მიერ დაწუნებულმა და გაგდებულმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** თავის ყოფილ გუნდსა და მის ახალ მწვრთნელს (რომლის ეშხითაც ის გააგდეს) მერსისაიდელთა კერპ **კენი დალგლიშს** 2:1 მოუგო. მასპინძლები თავიდან ჩამორჩნენ „წითლებს" მაგრამ, შემდეგ ორი პენალტი დაარტყეს და გაიმარჯვეს. მეორე პენალტი ლივერპულელთა კარში საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე დაიმიშნა.

ჰოჯსონმა, როგორც დიპლომატმა, შურისძიება, რასაკვირველია იუარა: *„იმ ფაქტმა, რომ დღეს „ლივერპული" დავამარცხეთ დამატებითი სიამოვნება ნამდვილად არ მომანიჭა. მე „ლივერპულში" ბევრი მეგობარი მყავს და მათ ნიშნს ვერ მოვუგებ".*

კენი დალგლიში: *„გუშინ, ვარჯიშზე სტივენ ჯერარდს ისევ აწკივდა საზარდული, რამაც ჩვენი შემადგენლობა შეასუსტა. დღეს, ამას პირველი ტაიმის მსვლელობისას, 25 წუთში ორი ფეხბურთელის, დანიელ აგერის და გლენ ჯონსონის ტრავმებიც დაემატა. რაც შეეხება ჩვენს კარში დანიშნულ პენალტებს, ამაზე მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: ერთი მსაჯმა დანიშნა, ხოლო მეორე თანამსაჯმა. კარგი იქნება, თუ გვეტყვიან, როდის აქვს თანამსაჯს უფლება მსაჯის საქმეში ჩაერიოს და პენალტი დანიშნოს. ორი კვირის წინ „სანდერლენდთან" შეხვედრაში ზუსტად ასე ჩვენ დაგვარტყმევინეს პენალტი და დღესაც არ ვიცი რატომ".*

„ფულჰემის" თავდამსხმელმა **ბობი ზამორამ** კი ძველებური კლანჭები გამოაჩინა - „კრეივენ კოტეჯზე" „ბლექპულს" პირველი ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში ზედიზედ ორი გოლი გაუტანა, რასაც შესვენების შემდეგ **დიკსონ ეტუჰუმ** ერთიც დაამატა და ლონდონელებმა გასავარდნთა ზონის სიახლოვეს თავი დააღწიეს. შეგახსენებთ, რომ ზამორამ მიმდინარე სეზონის უდიდესი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ გამოჯანმრთელებულმა დაამტკიცა, რომ მართლა დიდ ძალას წარმოადგენს.

დაბოლოს, „სიტი", რომელმაც პრემიერლიგის 31-ე ტური „სანდერლენდის" გადათელვით (5:0) დაასრულა. ისტლენდელები მესამე ადგილზე დაბრუნდნენ. ანგარიში მე-9 წუთზე **ადამ ჯონსონმა** გახსნა, რომლისთვისაც იანვრის ტრავმის შემდეგ ეს პირველი გამოსვლა იყო მანჩესტერელთა შემადგენლობაში. შემდეგ, პენალტის ნიშნულიდან თავი გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **კარლოს ტევესმა** გამოიჩინა. შესვენების შემდეგ კი **დავიდ სილვამ**, ვეტერანმა **პატრიკ ვიეირამ** და **იაია ტურემ** იყოჩაღეს. როგორც ხედავთ, ახლა **რობერტო მანჩინის** გუნდი ცხრილში „ტოტენჰემ ჰოთსპურს" 6 ქულით უსწრებს და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშს უახლოვდება.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



### მომდევნო ტური

9 აპრილი: ვულვერჰემპტონი-ევერტონი, ბლექბერნი-ბირმინგემი, ბოლტონი-ვესტ ჰემი, ჩელსი-უიგანი, მანჩესტერ იუნაიტედი-ფულჰემი, სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი, ტოტენჰემი-სტოკი.

10 აპრილი: ბლექპული-არსენალი, ასტონ ვილა-ნიუკასლი; ლივერპული-მანჩესტერ სიტი.

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXI ტური

**მოზერუელი-აბერდინი 2:1**

გოლები: 1:0 ჰამფრი (15), 2:0 ჰაჩინსონი (88), 2:1 ვუიადინოვიჩი (90)

**რეინჯერსი-დანდი 2:3**

გოლები: 1:0 იელავიჩი (19), 1:1 რობერტსონი (45), 2:1 ნეისმიტი (52), 2:2 რასელი (77), 2:3 გუდვილი (89)

**სენტ მირენი-ჰემილტონი 3:1**

გოლები: 0:1 ბაჩენანი (43), 1:1 ჰიგდონი (61), 2:1 ჰიგდონი (64), 3:1 ჰიგდონი (71)

**ჰიბერნიანი-ჰართსი 2:2**

გოლები: 0:1 სტივენსონი (24), 1:1 მილერი (35-პენ), 2:1 ვას ტე (80), 2:2 ელიოტი (83)

**სენტ ჯონსტონი-კილმარნოკი 0:0**

**ინვერნესი-სელტიკი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61-17 | 67 |
| 2. რეინჯერსი | 28 | 21 | 2 | 5 | 62-27 | 65 |
| 3. ჰართსი | 31 | 18 | 5 | 8 | 46-30 | 59 |
| 4. დანდი | 30 | 13 | 10 | 7 | 41-35 | 49 |
| 5. კილმარნოკი | 31 | 13 | 7 | 11 | 46-36 | 46 |
| 6. მოზერუელი | 31 | 12 | 4 | 15 | 34-42 | 40 |
| 7. ინვერნესი | 30 | 9 | 9 | 12 | 39-38 | 36 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 30 | 8 | 10 | 12 | 18-34 | 34 |
| 9. ჰიბერნიანი | 30 | 9 | 6 | 15 | 33-47 | 33 |
| 10. აბერდინი | 30 | 9 | 4 | 17 | 32-49 | 31 |
| 11. სტ. მირენი | 30 | 6 | 7 | 17 | 27-49 | 25 |
| 12. ჰემილტონი | 31 | 2 | 10 | 19 | 18-53 | 16 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - სემონი (კილმარნოკი); 14 - გუდვილი (დანდი); 13 - ჰიგდონი (სენტ მირენი), რუნი (ინვერნესი), სტოკსი (სელტიკი) ჰუპერი (სელტიკი); 11 – ბლექმენი (აბერდინი), სკაცელი (ჰართსი); 10 - რიორდანი (ჰიბერნიანი), ვერნონი (აბერდინი)

**ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ. 2:4**

**ვესტ ჰემი** (4-3-3): გრინი - იაკობსენი, აპსონი, და კოსტა, ბრიჯი - ნობლი (83. რ. კინი), პარკერი, ჰიტცლშპერგერი - ო'ნილი (83. ობინა), ბა, კ. კოული (69. პიქვიონი).
| 4. ვარეზე | 34 | 13 | 16 | 5 | 41-25 | 55 |
| 5. რეჯინა | 34 | 12 | 13 | 9 | 37-33 | 49 |
| 6. ვიჩენცა | 34 | 14 | 6 | 14 | 37-38 | 48 |
| 7. ტორინო | 34 | 13 | 8 | 13 | 39-39 | 47 |
| 8. ლივორნო | 34 | 11 | 12 | 11 | 40-39 | 45 |
| 9. პესკარა | 34 | 12 | 9 | 13 | 34-37 | 45 |
| 10. მოდენა | 34 | 10 | 15 | 9 | 35-39 | 45 |
| 11. ემპოლი | 34 | 10 | 14 | 10 | 38-34 | 44 |
| 12. გროსეტო | 34 | 11 | 11 | 12 | 37-42 | 44 |
| 13. პადოვა | 34 | 9 | 15 | 10 | 46-42 | 42 |
| 14. პიაჩენცა | 34 | 10 | 11 | 13 | 45-51 | 41 |
| 15. სასუოლო | 34 | 10 | 10 | 14 | 34-38 | 40 |
| 16. ალბინოლეფე | 34 | 10 | 9 | 15 | 41-53 | 39 |
| 17. ჩიტადელა | 34 | 8 | 13 | 13 | 38-42 | 37 |
| 18. კროტონე | 33 | 8 | 13 | 12 | 31-39 | 37 |
| 19. პორტოგრ. | 34 | 9 | 10 | 15 | 30-44 | 37 |
| 20 ასკოლი | 33 | 10 | 11 | 12 | 32-40 | 36 |
| 21. ფროზინონე | 33 | 7 | 12 | 14 | 35-48 | 33 |
| 22. ტრიესტინა | 34 | 5 | 15 | 14 | 27-45 | 30 |

ასკოლის დაკლებული აქვს 6 ქულა

**ბომბარდირები:** 17 - კაჩა (პიაჩენცა); 15 - სუჩი (პადოვა), კორალი (ემპოლი), პიოვაკარი (ჩიტადელა), ბიანკი (ტორინო); 14 - ბონაცოლი (რეჯინა); 13 - აბრუსკატო (ვიჩენცა), გონსალესი (ნოვარა).

### სერია C 1/B

კავეზე-ბარლეტა 1:0, სირაკუზა-ფოჯა 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



# რევაზ ლაშხმა ევროპა დაიპყრო

როგორც იქნა, ამდენი წარუმატებლობის შემდეგ ოქროს მედალი ჭიდაობაშიც გველირსა - დორტმუნდში მიმდინარე ევროპის პირველობა ჩემპიონობით დავაგვირგვინეთ. ტურნირი გუშინ დასრულდა და საქართველოს ჰიმნი ბოლო დღეს მაინც აჟღერდა - ეს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბორჯომელ **რევაზ ლაშხის** გამარჯვების ალსანიშნავად მოხდა. რევაზმა ბერძნულ-რომაული ნაკრები კატასტროფული მარცხისგანაც იხსნა, რადგან სხვებს არათუ ჯილდოს მოპოვება, მასთან მიახლოებაც კი გაუჭირდათ.

სამწუხაროდ, ლაშხი ჩვენი გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი აღმოჩნდა, თუმცა მართლაც რომ კაშკაშა და გამორჩეული! ფინალამდე ისეთ ძლიერ ფალავნებს მოუგო, როგორიც რუმინელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ეუსებიო დიაკონუ** და განსაკუთრებით, მსოფლიოსა და ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, აზერბაიჯანელი **ჰასან ალიევია**. აზერბაიჯანელმა შარშანწინ დუბლი ახალგაზრდებში შეასრულა, შარშან ასევე წყვილად უკვე უფროსებში იყოჩაღა და ერთი შეხედვით, შეუჩერებელი ჩანდა, მაგრამ ორწლიანი ტრიუმფის მერე ლაშხმა შეაჩერა! ჩვენებური მას ნახევარფინალში შეხვდა და მძიმე ბრძოლაში მოუგო - თავიდან 3:0 დაწინაურდა, მაგრამ მეორე პერიოდი მეტოქემ 5:0 იმარჯვა. დამატებითი ქართველმა 1:0 მოიგო. რუმინელს უფრო იოლად, ძირითად დროში სძლია - 1:0; 3:0, თავიდან კი ესპანელ **სებასტიან იდალგოს** და პოლონეთის სახელით მოასპარეზე სომეხ **ედუარდ ბარსეგიანს** ასევე ორ პერიოდში გაუსწორდა მშვიდად. ფინალში ჩვენებურის მეტოქე ბულგარელი ევროპის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ივო ანგელოვი** იყო, რომელსაც ასევე ძირითად დროში გაუსწორდა - 1:0; 2:0.

სიმართლე ითქვას, ბორჯომელი ფალავანისგან ამ შეჯიბრებაზე ასეთ წარმატებას ნაკლებად ველოდით. ის ყოველთვის მიიჩნეოდა ძალზე პერსპექტიულ ფალავნად, მაგრამ ავანსების გამართლება ცოტა დააგვიანა. წლეულს საქართველოს პირველობა დამაჯერებლად კი მოიგო, მაგრამ საევროპო სამზადისში ბოლოსწინა შეკრებაზე ფეხი იტკინა და ერთი სატესტო ტურნირიც გამოტოვა. ამიტომ ჭირდა მასზე ფსონის დადება და ქომაგთა იმედებიც უფრო სხვებს უკავშირდებოდა, მაგრამ მწვრთნელებს სჯეროდათ მისი და ამიტომაც დააყენეს გუნდში.

ლაშხის გამარჯვებით ჩვენმა გუნდებმა ორწლიანი უჩემპიონობის პერიოდი დაასრულეს. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ნაკრების დანარჩენ ექვსეულზე სალაპარაკო ბევრიც არაფერია... იმათგან სანუგეშო წრეში მხოლოდ სამი გადავიდა - **ლაშა გოგიტაძე** (55), **ანტონ მამაგეიშვილი** (66) და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **სოსო ჯაბიძე** (96). ამათგან გოგიტაძის და მამაგეიშვილის მარცხი მოულოდნელი არ ყოფილა. გოგიტაძე მეორე წრეში სომეხ ევროპის ჩემპიონს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორ **რომან ამოიანს** ხვდებოდა, მამაგეიშვილი - რუსთა ქართველ ფალავანს, ევროპის ბოლო ორი და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის მომგებ **ამბაკო ვაჩაძეს**. პირველ წრეში გოგიტაძემ სლოვენიელ **ნიკოლას ლაკატოსს** ორივე პერიოდში სუფთად კი აჯობა, ხოლო მამაგეიშვილმა სომეხი **სასუნ ჩამბარიანი** დამატებითში დაამარცხა, მაგრამ ფავორიტებთან **ბეგი დარჩიას** შეგირდები ვერაფერს გახდნენ - ორივემ ძირითად დროში წააგო. მოგვიანებით ამოიანიც და ვაჩაძეც ჩემპიონები გახდნენ (ვაჩაძემ ზედიზედ მესამედ მოიგო კონტინენტის პირველობა!) და ამათაც სანუგეშოში გადასვლის შანსი მიეცათ. იქ თითო შეხვედრაში იმარჯვეს, მაგრამ მეორეში კვლავაც დამარცხდნენ - გოგიტაძემ ლატვიელ **რამუნას დაგისთან** მოგებას რუს **ვალერი ბორგოიაკოვთან** წაგება მიაყოლა, მამაგეიშვილმა პორტუგალიელ **მანუელ ალმეიდას** კი სძლია, მაგრამ ხორვატ **დანიელ იანჩიჩთან** დაყარა ფარხმალი.

ძირითად ბადეში თითო მოგება-წაგებაა ჯაბიძის ანგარიშზეც. მოლოდინისამებრ, მოლდოველ **მარინ ცაზაცს** კი აჯობა (თუმცა საამისოდ დამატებითი დრო დასჭირდა), მაგრამ წააგო სომეხ **არტურ ალექსანიანთან**. ეს ცოტა მოულოდნელი იყო, თუმცა სომეხი ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია (ოღონდ ქვედა წონაში), აქ კი ფინალში გავიდა. სანუგეშში ჩვენებური ჩერნოგორიელ **ვლადიმირ რადოსლავლიევიჩს** გასცდა, მაგრამ ნორვეგიელ **მარტინ ჰამლეტ ნილსენს** - ვერა და ტურნირსაც გამოეთიშა.

ძირითად ბადეში გამოსვლა ასევე თითო მოგება-წაგებით დაამთავრეს გუნდის დებიუტანტმა **მათე სოფაძემ** (84) და მძიმეწონოსანმა **დიმიტრი ჯავახიშვილმა**, ოღონდ მათ დამამშვიდებელ ტურნირში გადასვლის საშუალება არ მისცემიათ. სოფაძემ სლოვენიელი **დეიან სერნეკი** დაჯაბნა და ბელარუს **ალიმ სელიმაუსთან** წააგო, ჯავახიშვილმა კი სერბ **მილოშ სპასიჩთან** გამარჯვებას, ცოტა არ იყოს და მოულოდნელი მარცხი მიაყოლა ებრაელ **ვლადიმირ გურალსკისთან**.

ჩვენი გუნდიდან ერთადერთი, ვინც პირველივე წრიდან გამოვარდა, ყველაზე ტიტულოვანი ფალავანი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველიაა** (74) - ფრანგ ოლიმპიადის, ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან **კრისტოფ ჟენოსთან** პირველი პერიოდი 0:2 დათმო, მდგომარეობა მეორეში გამოასწორა - 3:0, მაგრამ დამატებითი 0:1 დათმო და გავარდა.

**ირაკლი თავაძე**

#### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. რომან ამოიანი (სომხეთი), 2. ვუგარ რაგიმოვი (უკრაინა), 3. ელბეკ ტაზიეუ (ბელარუსი), ელდანიზ აზიზლი (აზერბაიჯანი).

**60 კგ. 1. რევაზ ლაშხი (საქართველო),** 2. ივო ანგელოვი (ბულგარეთი), 3. მუსტაფა საგლამი (თურქეთი), ჰასან ალიევი (აზერბაიჯანი).

**66 კგ.** 1. ამბაკო ვაჩაძე (რუსეთი), 2. ტამაშ ლორინცზი (უნგრეთი), 3. ვიტალი რახიმოვი (აზერბაიჯანი), ალექსანდერ მაქსიმოვიჩი (სერბეთი).

**74 კგ.** 1. რაფიგ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი), 2. პეტერ ბასცი (უნგრეთი), 3. რომან ვლასოვი (რუსეთი), კრისტოფ ჟენო (საფრანგეთი).

**84 კგ.** 1. ვასილ რაშიბა (უკრაინა), 2. ალან ხუგაევი (რუსეთი), 3. არტურ შაჰინიანი (სომხეთი), ჰრისტო მარინოვი (ბულგარეთი).

**96 კგ.** 1. ტიმაფეი დზეინიჩენკო (ბელარუსი), 2. არტურ ალექსანიანი (სომხეთი), 3. შალვა გადაბაძე (აზერბაიჯანი), ელის გური (ბულგარეთი).

**120 კგ.** 1. ჰასან ბაროევი (რუსეთი), 2. რიზა კაიაალპი (თურქეთი), 3. იური პატრიკეევი (სომხეთი), მიჰალ დეაკ-ბარდოში (უნგრეთი).

### თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ ზაზა თურმანიძესთან

# მამიაშვილი ქართველთა წინააღმდეგ


ზაზა თურმანიძე

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გერმანიიდან დაბრუნდა, სადაც საკმაოდ კარგად გამოვიდა დორტმუნდში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში - ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვა. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) გახდნენ, **დავით ხუციშვილი** (74) კი მესამეზე გავიდა. მისასალმებელია, რომ მათგან ვერცხლის მედალოსნები ჯერ ისევ ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან, ხუციშვილმა კი შარშან დაასრულა იქ გამოსვლა. იმ ახალგაზრდულ ნაკრებს უახლოეს წლებში ერთ-ერთ უნიჭიერესად მიიჩნევდნენ და ლონდონის მოახლოებულ ოლიმპიადასთან მიმართებაში „მომავლის გუნდსაც" უწოდებდნენ - მათ ავანსები გაამართლეს.

### ყოველთვის ჩვენ რატომ ვიჩაგრებით?

თუმცა შედეგი ბევრად უკეთესიც იქნებოდა, რომ არა მსაჯთა გაუგონარი საქციელი მარსაგიშვილის ფინალური ორთაბრძოლისას - რუს **ანზორ ურიშევს** რატომ მისცეს გამარჯვება, ვეჭვობთ, თავად აგვიხსნან. მოგვიანებით ურიშევმა განაცხადა, ქართველი გააფრთხილეს და ამიტომ მეკუთვნოდა მომგებიანი ქულაო, თუმცა შეხვედრის არბიტრი თვითონაც გაოგნებული დარჩა, როცა სამსაჯო კომიტეტმა გადაწყვეტილება ამცნო... თან, მთავარ მსაჯს არც იმაზე ჰქონდა რეაქცია, როცა ჩვენი მწვრთნელები ლეიბზე შევარდნენ და შეგირდს წარმატებას ულოცავდნენ - როგორ გგონიათ, მართლა თუ მისცა გაფრთხილება, ამათ არ ეტყოდა, მოგებული ეგ კი არაა, ისაა? ან ისე როგორ გააფრთხილა, რომ ვერავინ შეამჩნია? თავად რუსებიც წერენ, რომ გაფრთხილება არ დაუნახავთ. თუმცა, რაც არ ყოფილა, რას დაინახავდნენ...

ჩემპიონატის შედეგებზე ჩვენი ნაკრების თავკაც **ზაზა თურმანიძეს** ვესაუბრეთ.

**- გქონდათ ასეთი შედეგის მოლოდინი, რომ წარმატებას მხოლოდ დებიუტანტები და ახალგაზრდები მოიპოვებდნენ, ძველი თაობა კი უმედლოდ დარჩებოდა?**

- ახალგაზრდებისგან წარმატებას ნამდვილად ველოდი და არ მიკვირს, თუმცა რაც მათ გააკეთეს, ეს იშვიათად ხდება - 19-20 წლის ბიჭებმა ახალგაზრდული ნაკრებიდან გადმოსვლისთანავე, საადაპტაციო პერიოდის გარეშე ფინალები იჭიდავეს და მედლები მოიპოვეს. თუმცა აქამდეც იმდენად კარგად ასპარეზობდნენ, მათგან ჯილდოებს ველოდი. ხინჩეგაშვილი შარშანაც და წლეულსაც სტაბილურად კარგად გამოდიოდა, წლეულს თურქეთში იაშარ დოგუს ძლიერი შეჯიბრებაც მოიგო და მისგან ველოდი მედალს. ახალგაზრდებში ასევე სტაბილურად ჭიდაობდა ხუციშვილიც, რომელიც მერე ჩვენს გუნდშიც კარგად ჩაერთო და ყველა მოსამზადებელი ეტაპი ჩინებულად გაიარა. მართალია, თურქეთში დამარცხდა, მაგრამ ისე იჭიდავა, რომ გამიჩინა რწმენა, საპრიზო სამეულში შესვლა შეეძლო. თურქეთში მას წააგებინეს რუსთა მსოფლიოს ორგზის, ევროპის ოთხგზის ჩემპიონსა და ოლიმპიადის პრიზიორ მახაჩ მურთაზალიევთან, მერე კი არც სანუგეშოში გადასვლის საშუალება მიეცა, რადგან იმან თავის ძმას დაუთმო მოგება და ხუციშვილიც ასე გამოეთიშა შეჯიბრებას. მარსაგიშვილი უდავოდ პერსპექტიული სპორტსმენია. შარშან ახალგაზრდებში გამოსვლის შემდეგ მისდამი დიდ ყურადღებას ვიჩენდით. მოსამზადებელ პერიოდში ფეხიც იტკინა, მაგრამ ეს პრობლემა მოგვარდა და დორტმუნდში იმაზე უკეთ იჭიდავა, რასაც ველოდი. ჯერ კიდევ სამი-ოთხი წლის წინ ვთქვი, ეს ბიჭი მომავალი ოლიმპიელია-მეთქი და ღმერთმა ქნას, იქაც ისე გაამართლოს, როგორც - ახლა.

სხვებს რაც შეეხებათ, 60-ში მალხაზ ზარქუასგან მეტს ველოდი, მაგრამ მზადების დასკვნით ეტაპზე ვირუსი შეეყარა და ვერ იყო სათანადო ფორმაში. ასევე წასვლის წინ ნეკნი იტკინა ბელდუხ გავაშელიშვილმაც 96-ში - ისეთ დროს, როცა შეცვლაც არ ხერხდებოდა. იქ ნეკნმტკივანმა ორი შეხვედრა მოიგო და მერე მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, მოლდოველ ნიკოლაი ცებანთან დამარცხდა. რაც შეეხება მძიმეწონოსან დავით მოძმანაშვილს, ეს ბიჭი ფსიქოლოგიურად ვერ აღმოჩნდა მზად. მეორე შეხვედრაში ძლიერი მეტოქე, რუსთა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი ბახტიარ ახმედოვი დაამარცხა, მაგრამ მერე რატომღაც აზერბაიჯანელ ჯამალედინ მაგომედოვთან შეხვედრა ვერ მიიყვანა გამარჯვებამდე.

საერთო ჯამში, ნელ-ნელა იკვეთება ოლიმპიური გუნდი. ალბათ, ოპერაციის შემდეგ გიორგი გოგშელიძეც ჩადგება ფორმაში, ოთარ თუშიშვილიც დაგვიბრუნდება და გარკვეულ კონტურებზე შეიძლება ლაპარაკი, სამომავლოდ იმედი გაჩნდა.

**- 84-ის ფინალზე რას იტყვით, რუს ანზორ ურიშევსა და მარსაგიშვილს შორის - რა პრინციპით, რა ლოგიკით მისცეს მას ბოლო ორი ქულა?**

- მეც არ ვიცი, რა გითხრათ, ჭკუაზე არ ვარ! რას შევადარო, ისიც არ ვიცი. მახსენდება რამდენიმე წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი თურქეთში, როცა ემზარ ბედინეიშვილი 5:4-ს იგებდა, შეხვედრა ასეც დამთავრდა, მაგრამ საბოლოოდ წაგება გამოუცხადეს და ახ-

>> მე-11 გვერდზე

### ჩოგბურთი

## ტატიშვილი, პირველი ბარიერი დაძლეულია



საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (125) ამერიკის ქალაქ ჩარლსტონშია, სადაც WTA-ს ტურნირ „ფემილი საირქლ ქაფზე" მონაწილეობს, რომლის საპრიზო ფონდიც 721 ათასი დოლარია. ანა საკვალიფიკაციო ბადეშია, სადაც მე-5 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მან ვენესუელელ **გაბრიელა პასს** მოუგო - 7:5, 6:4. მისი მომდევნო მეტოქე მე-14 ნომრად განთესილი **ტატიანა ლუჟანსკაა** (უკრაინა). ეს შეხვედრა საქართველოს დროით გვიან ღამით გაიმართა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მილოცვები

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობა დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სპორტის დიდ მოამაგეს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, დარგობრივი პროფკავშირის თავმჯდომარეს ИРОДИ ბეჟაშვილს.

---

ქ. თბილისის მერიის გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალი და პირადად მისი დირექტორი, ქალბატონი როზა ბერიკაშვილი დაბადებიდან 65 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს, გულისხმიერ პიროვნებას ბატონ ИРОДИ ბეჟაშვილს და უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებას შრომით საქმიანობაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● თავისუფალი ჭიდაობა

### ინტერვიუ ზაზა თურმანიძესთან

« მე-10 გვერდიდან

ლაც ასე მოხდა. ანგარიში 3:3 დამთავრდა, მაგრამ იმას ყველა თითოქულიანი გდება ჰქონდა, ამან კი ერთი ორქულიანი გაუკეთა, ამ შემთხვევაში მოგება მარსაგიშვილს ეკუთვნოდა. მერე მსაჯთა მაგიდასთან მივედი და ოქმზე ხელით ვაჩვენებდი, ამიხსენით, ამის მიხედვით საიდან ეკუთვნის მოგება-მეთქი. ისე, იქნებ უნდა წამერთმია ის ოქმი - მერე რა გადაასწორეს და რა ჩაწერეს შიგ, ვინ რას გაიგებს, მაგრამ წესების დარღვევაც იქნებოდა - ერთხელ ამგვარი დარღვევისთვის 18-ათასევროიანი ჯარიმაც მოგვარტყეს. გაფრთხილებას კი იტყოდნენ თვითონ, აბა, რას იზამდნენ, მაგრამ არავითარი გაფრთხილება არ ყოფილა. მაგ შეხვედრას ჩვენი პრეზიდენტი კახა გეწაძე პრეზიდიუმის წევრებთან ერთად უყურებდა და იქაც ყველა ულოცავდა მარსაგიშვილის ჩემპიონობას. მხოლოდ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ მამიაშვილი არ იყო მაშინ პრეზიდიუმში და ეგაა, ყველა შეხვედრას რომ გვართმევს - აჩვენებს იქიდან მთავარ მწვრთნელ ჯამბულათ თედეევს, წამოხტიო, ისიც ადგება და აპროტესტებს, მერე საქმეში მამიაშვილი ერთვება და წყდება იმათ სასარგებლოდ. მოგვიანებით დარბაზში რუსული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ადლან ვარაევი შემხვდა და მითხრა, მაგ ბიჭს ყოჩაღ, მაგან მოიგოო. მე ვუთხარი, ოქრო კი თქვენ მიგაქვთ-მეთქი.

სხვათა შორის, ხინჩეგაშვილის და ჩეჩენ ჯამალ ოთარსულთანოვის ფინალური შეხვედრის მეორე პერიოდშიც იყო საკამათო მომენტი, როცა გდება არასწორად შეაფასეს - ამის ქულები იმას მისცეს. მესმის, შეცდომები ხდება, მაგრამ საწყენია, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენ დავზარალდით.

**- ასეთი უსამართლობის აღკვეთის, სამართლიანობის აღდგენის მექანიზმი არ არსებობს?**

- თვითონ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში გაპროტესტებას აზრი აქვს. აი, ამ საკამათო შეხვედრების ფირებს თუ ამოკრებ და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს წარუდგენ, მაშინ იქნებ მიაღწიო რაღაცას, მაგრამ თუ ვერ დაამტკიცებ შენს სიმართლეს და აგერ, სალიცენზიო მსოფლიოს პირველობა მოდის, უარესს გვიზამენ. არადა, ასეთი უსამართლობა ხშირად ხდება.

**- ისევ ახალ თაობას დავუბრუნდეთ, რომლებსაც წინ მსოფლიოს პირველობა ელოდებათ, მერე კი ოლიმპიადაა... რამდენად არიან მზად ისეთ ძლიერ ტურნირებში მედლებისა და მაღალი შედეგებისთვის საბრძოლველად?**

- ის შეჯიბრებები მართლაც სხვა დონეა და გაცილებით ძლიერია, მაგრამ მათი ახლანდელი გამოსვლაც მრავლის მთქმელია. ხინჩეგაშვილსა და მარსაგიშვილს წლეულს ისევ ახალგაზრდულ ნაკრებში უწევთ გამოსვლა. უნდა ვიმსჯელოთ და გადავწყვიტოთ, მათ სად იჭიდაონ და როგორი განრიგით მოემზადონ. ესენი თუ ყველგან ვაჭიდავეთ, შეიძლება, საერთოდ გამოვფიტოთ და მსოფლიოს პირველობას ფორმაში ვერ შეხვდნენ. მით უფრო, ხინჩეგაშვილს წონის პრობლემაც აწუხებს. ახლა ჩვენთვის მთავარი მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც ლიცენზიებიც გაიცემა - მთავარია მათი მოპოვება, შანსი ხელიდან არ გავუშვათ, ოლიმპიადამდე კი მთელი სეზონია დარჩენილი. მანამდე კიდევ მოუმატებენ, ერთი წლით გაიზრდებიან, დაკაცდებიან და უკეთეს ფორმაში იქნებიან.

**- შარშანდელი ჩაგდებული სეზონის ფონზე მარსაგიშვილის მობილიზება როგორ შეძელით, კრიზისი დაძლია საბოლოოდ?**

- ეს შევძელით მასთან ინდივიდუალური მუშაობით, მეტი რეჟიმით, მეტი მოთხოვნით, პერსონალური მიდგომით....

**- გერმანული შედეგებით თავისთავად გაივლო ხაზი ძველსა და ახალ თაობას შორის. მართალია, ძველებს ამჯერად რამდენიმე ლიდერი აკლდათ. მათგან ზოგიერთისა ნამდვილად გვეიმედება, მაგრამ იმ თაობიდან უმრავლესობამ ხომ არ ამოწურა შესაძლებლობები?**

- ამის თქმა ნებისმიერ შემთხვევაში ძნელია, რადგან ჩავარდნა ყველა სპორტსმენის კარიერაში ხდება. შესაძლოა, მერე ვინმემ გაითვალისწინოს შეცდომები და მდგომარეობა გამოასწოროს. ძველი ხალხი ჩვენთან ისედაც 60 და 66 კილოგრამებშია, მაგრამ აქაც არიან კარგი ახალგაზრდები. არ გამოვრიცხავ, ისინი დაეწიონ კიდეც ლიდერებს და ახალი კადრები ვიხილოთ. ამას უფრო 60-ში ველოდები, სადაც ძალიან კარგად გამოდიან ახალგაზრდული ნაკრების წევრები - თენგიზ ჩოჩიშვილი და ბექა ლომთაძე. ლომთაძე ქუთაისელია, რომელიც სავარჯიშოდ თბილისში გადმოვიყვანეთ ოლიმპიური მზადების ცენტრში. სამწუხაროდ, მერე ცენტრი დროებით დაიკეტა, ამანაც ტრავმა მიიღო და ვფიქრობ, ამის გამო მან ახალგაზრდებში ქვეყნის ჩემპიონატში შესაძლებლობები ბოლომდე ვერ აჩვენა. ჩოჩიშვილიც დაშავდა, ოპერაცია გაიკეთა, თუმცა ახალგაზრდები არიან და მჯერა, გამოიჩენენ თავს. საკადრო ცვლილებას არც მძიმეში გამოვრიცხავ, სადაც მოძმანაშვილს სერიოზული კონკურენტები ჰყავს.

**- სამომავლოდ თუ გეგმავთ საგანგებო ვარჯიშს ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად?**

- ვფიქრობ, მათ ფიზიკური მომზადება არ აკლიათ, ეს უფრო ფსიქოლოგიის ბრალია. ამის გადალახვა უჭირთ, თორემ ფიზიკურად სომხეთშიც კარგად ივარჯიშეს და არც მერე აკლდათ დატვირთვები. მე ვერ დავინახე, რომ იქ ვინმემ ამ ნაკლის გამო წააგო.

**- მიგაჩნიათ, რომ იმ 2-2-წუთიან პერიოდებში ისინი არც იღლებიან და არც სუნთქვის პრობლემა აწუხებთ?**

- ვიმეორებ, მათი პრობლემა უფრო ფსიქოლოგიაში მგონია, თორემ ფიზმომზადება არაფერ შუაშია.

**- დასასრულს, ნაკრების უახლოეს გეგმებზეც ვთქვათ...**

- ახალგაზრდებთან დაკავშირებით მზადების გეგმა ჯერ კიდევ შესათანხმებელია. ის სპორტსმენები სულ ყურადღების ქვეშ უნდა იყვნენ. ჩემი აზრით, მათ თითო ტურნირი უნდა იჭიდაონ და არა 2-3. რალაც მონახაზები გვაქვს, რასაც ჯერ ფედერაციასთან შევათანხმებთ. დაგეგმილს გვინდა დავამატოთ კიდევ. ჩვენთვის მსოფლიოსთვის შესარჩევი შეჯიბრება ზაფხულში გასამართი ვახტანგ ბალავაძის ტურნირია, მაგრამ არაა აუცილებელი, მანამდე შეჯიბრებებზე გამოვიდეთ, შეკრებითაც შეიძლება მომზადება. თან გზადაგზა შევხედავთ, ვის რა ხარვეზი აქვს და ამის მიხედვითაც ვიმოქმედებთ, ინდივიდუალური მიდგომით.

**ირაკლი თავაძე**



## ● ჩოგბურთი

# გორგოძის მეორე ტიტული

კვირის ბოლოს საერთაშორისო ტურნირებს სამი ქართველი იყო შემორჩენილი, ორი მათგანი ტიტულს ვერ შესწვდა, მაგრამ 19 წლის **ეკა გორგოძემ** (552) გაგვახარა.

19 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (705) წლეულს ყველაზე უკეთ ოკლაჰომა სიტიში იასპარეზა, სადაც 15-ათასიანი საპრიზო ფონდის საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალს უწია. ნიკას მესამე მეტოქე ოკლაჰომაში ბულგარელი **დიმიტარ კუტროვსკი** (562) იყო, რომელმაც აჯობა კიდევაც ჩვენებურს - 6:2, 6:7 (2), 6:3.

**მაკა ჩახნაშვილი** (232) მონსონის საერთაშორისო ტურნირის (ესპანეთი, 50 ათასი დოლარი) წყვილთა ბადის ფინალში იყო გასული (ხორვატ **ივანა ლისიაკთან** (241) ერთად). ფინალში ქართულ ხორვატულმა დუეტმა რუსულთან (**ელენა ბოვინა, ვალერია სავინიხი**) დათმო - 1:6, 6:2, 4:10.

გორგოძის საუკეთესო შედეგი რეიტინგში 2009 წლის სექტემბრითაა დათარიღებული, მაშინ ის 462-ე იყო მსოფლიო კლასიფიკაციაში - 17 წლის ასაკისთვის ეს კარგი შედეგი იყო, მაგრამ ნიჭიერ ცაცია ქართველს პროგრესის ნაცვლად რეგრესი დაეწყო. იქნებ, ამ ახალმა წარმატებამ დადებითად იმოქმედოს მის კარიერაზე.

თებერვლის დასაწყისში ჩვენმა თანამემამულემ მალიორკას (ესპანეთი, 10 ათასი დოლარი) ტურნირი მოიგო, ეს მისი პირველი ტიტული იყო პროფესიონალებში და ახლა ამას ანთალიის ტურნირში (თურქეთი, 10 ათასი დოლარი) გამარჯვება დაემატა. გორგოძე მე-4 ნომრად იყო განთესილი. ჩვენ კი თხრობა ნახევარფინალზე შევაჩერეთ, სადაც ეკამ შვედი **სანდრა რომა** დაამარცხა - 2:6, 6:1, 6:2. ჩვენებურმა ფინალში ბულგარელ **იზაბელა შინიკოვას** (726) მოუგო - 6:1, 6:3 და კარიერაში მეორე ტიტულს დაეუფლა. ამ მოგებით მან 12 სარეიტინგო ქულა გაინაღდა.

ანთალიაში მიჯრით რამდენიმე 10-ათასიანი იმართება, გორგოძე კვლავ თურქეთში რჩება და ტიტულის მოპოვებას ისევ შეეცდება. მანამდე ანთალიის ახალი ტურნირის საკვალიფიკაციო წრეში სამი ჩვენებური ჩაებმება: **ირინა თოიძე, ანი გოგვაძე** და **ბარბარე ერისთავი**. იტალიურ პომეციაში 10-ათასიანი ტურნირის პირველი ნომერი იქნება მაკა ჩახნაშვილი, ძირითად ბადეშია აგრეთვე **სოფიო ქვაცაბაიაც** (417).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ● წყალბურთი

# ივერია, ლიგამუსი და... ლიგამუსი

წლეულს 1995 - 1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობაში საასპარეზოდ ათმა გუნდმა მოიყარა თავი. შეჯიბრება, წინა წლებისგან განსხვავებით, რამდენიმე ტურად ჩატარდა. განსაკუთრებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასპორტო კლუბ „ლიგამუსისა“ და სპორტკლუბ „ივერიის“ წარმომადგენლებმა იყოჩაღეს. ჯგუფური ტურნირების შემდეგ ამ კლუბების პირველმა გუნდებმა ნახევარფინალური ორთაბრძოლებიც მოიგეს და გადამწყვეტ პაექრობაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეხვედრა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. პირველი პერიოდის დასაწყისშივე ივერიელებმა (ინწკირველი, ჯმუხაძე (2), გელაძე, კახეთელიძე (2), რევია (1), ბითაძე (1), ჩანტლაძე, ზაქარეიშვილი (2), თევდორაშვილი, ყაზახიშვილი, ჯახაია (1), პაპასკირი. მწვრთნელები - მეგედი, ქოიავა) იყოჩაღეს - ზაქარეიშვილმა თავისიანები დააწინაურა. ლიგამუსელებს (კოჩიაშვიილი, ჩიკვაიძე (1), შენგელია (1), ედილაშვილი, ჯანჯღავა, კუცია, თოთლაძე, ზაბახიძე, იმნაიშვილი (2), გაბადაძე (1), თუხარელი (1), ჭედია, მწვრთნელები - ჩხარტიშვილი, მაისურაძე) წონასწორობის აღსადგენად (შენგელია) ოთხი წუთი დასჭირდა. პერიოდის ბოლო წამებზე იმავე ზაქარეიშვილმა ისევ წინ გაიყვანა თავისი გუნდი - 2:1. მეორე რვაწუთიანი მონაკვეთი „ლიგამუსის“ უპირატესობით წარიმართა - 2:1. მესამე მეოთხედში თანაბარი ორთაბრძოლა (2:2) იყო, აი, მე-4 პერიოდში კი ივერიელებმა იმძლავრეს - ოთხი ბურთი გაუტანეს მეტოქეს, თავად მხოლოდ ერთი მიიღეს, საბოლოოდ 9:6 გაიმარჯვეს და ოქროს მედლები დაიმსახურეს. მესამე ადგილისთვის პაექრობაში „ლიგამუსის“ მეორე გუნდმა (ციხელაშვილი, ადამია, კილოსანიძე, ცაავა (2), ბიტ-ბაბიკოვი (3), კეჟერაშვილი (1), ალავიძე, მოსაშვილი (1), ვაჩაძე, დავლიანიძე, წამალაშვილი (2), მწვრთნელები - ჩხარტიშვილი, მაისურაძე) „თბილისს“ მხოლოდ დამატებით დროში სძლია 9:8 (0:0, 2:3, 2:3, 3:1, 2:1) და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

- საინტერესო ტურნირი გამოგვივიდა, - გვითხრა საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ**. - შეჯიბრებამ რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე გამოავლინა, რომლებსაც ჭაბუკთა ნაკრებში მივიწვევთ. ამ ასაკში ჩვენმა გუნდა ამ ცოტა ხნის წინათ სახელოვანი წყალბურთელის ნოდარ გვახარიას თასზე პირველი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. საგულისხმო კი ის იყო, რომ ჩვენმა ბიჭებმა უკრაინელ თანატოლებს 28:2 მოუგეს, არადა, შარშან იმავე გუნდთან ლვოვის ტურნირზე 3:17 დავმარცხდით. პროგრესი რომ აშკარაა, ეს საქართველოს პირველობამაც დაადასტურა. წარმატებად მიგვაჩნია ისიც, რომ წყალბურთის მექაში - სერბეთში 15-16-წლიანთა პირველობაზე ხუთიდან 3 მატჩი მოვიგეთ. ჩვენი ბიჭების ასეთი წინსვლა გვახარებს, რადგან ეს არის აქედანვე წარმატებული, მიზანმიმართული მზადება 1995-1996 წლებში დაბადებულთა ევროპის პირველობებისთვის, რომლებიც 2013-2014 წლებში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო




## ● ჭადრაკი

# თასის საგზურსაც ვერ შესწვდა

ფრანგულ ექს-ლე-ბენში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე წინა პირველობების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორ **ბაადურ ჯობავას** შესანიშნავი შანსი ჰქონდა, ზედიზედ მესამედ ასულიყო კვარცხლბეკზე. ქართველმა დიდოსტატმა ეს შესაძლებლობა X ტურში გაუშვა ხელიდან, როცა, ფაქტობრივად, მოგებული პარტია 8 სვლაში დათმო **ვლადიმირ პოტკინთან** (რუსეთი). ეს უკანასკნელი ბოლო ტურში უნგრელ ქალბატონს **იუდით პოლგარს** დაუზავდა და 8,5 ქულით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვეს პოლგარმა, პოლონელმა **რადოსლავ ვოიტაშეკმა** (მე-11 ტურში რუს **პიოტრ სვიდლერს** შეუთანხმდა ყაიმზე) და უკრაინელმა **ალექსანდრ მოისეენკომ** (ინგლისელი **ლიუკ მაკშეინი** დაამარცხა), მაგრამ დამატებითი მაჩვენებლები პოტკინს უკეთესი აღმოაჩნდა და ოქროც მას ერგო. კოეფიციენტით მეორე ადგილზე ვოიტაშეკი გავიდა, მესამე იყო პოლგარი. ვაჟთა ევროპის ჩემპიონატების თორმეტწლიან ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, ქალი რომ კვარცხლბეკზე ავიდა და მედალი დაიმსახურა. არადა, ტურნირში 2700-იანთა კლუბის 9 წარმომადგენელი მონაწილეობდა. რაც შეეხება ბაადურ ჯობავას, მან 7,5 ქულით მეთექვსმეტე-ორმოცდამეოთხე ადგილები გაიყო. საბოლოოდ კოეფიციენტით 28-ე ადგილი დაიკავა, რეიტინგში კი 3,3 პუნქტი დაკარგა და მსოფლიოს თასის საგზურიც ვერ მოიპოვა.

დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: 60. **ლევან ფანცულაია** (7 ქულა, რეიტინგში +9,3), 117. **ლუკა პაიჭაძე** (6.5; +1,7), 125. **ლელა ჯავახიშვილი** (6; +16,5), 187. **თორნიკე სანიკიძე** (5.5; -5,3), 191. **დავით ლობჟანიძე** (5.5; -2,0), 208. **დავით ზარქუა** (5.5; -0,9), 253. **სალომე მელია** (5; -20,3).

**ვაჟა დანელია**

## ● სუმო

# კოკაი უმაღლესში რჩება?

პროფესიულ სუმოში ბოლო წლებია სულ სკანდალებია, ახლახან საქმე იქამდე მივიდა, რომ სუმოს ასოციაციამ არნახულ ზომას მიმართა - მარტის ბაშო გააუქმა. და აი, სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭომ ჩაწყობილ შეხვედრებში მონაწილეობისათვის 21 სუმოისტსა და 2 მწვრთნელს განაჩენი გამოუტანა: მათ 5 აპრილამდე მიეცათ ვადა პენსიაში გასასვლელად, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეებს სამუდამო დისკვალიფიკაციით გააძევებენ. სასიხარულოა, რომ არც ამ სკანდალში აღმოჩნდნენ ქართველი სუმოისტები (**ლევან გორგაძე, ლევან ცაგურია** და **თეიმურაზ ჯუღელი**) გარეულები.

დამნაშავედ უმაღლესი დივიზიონის 6 წევრი ცნეს, მათგან 4 მონღოლია (**ჰაკუბა, ტოკუსეგავა, კორიუ, მოკონამი**) ერთი კორეელი (**კასუგაო**) და ერთიც იაპონელი (**კოტოკასუგა**). დასჯილთა შორის არიან ერთ დროს ელიტაში მოჭიდავე, ახლა კი მესამე დივიზიონში დაქვეითებულნი: **ჯუმონჯი, კირინოვაკა, ჰოშიჰიკარი, შირონონამი** და **იამამოტოიამა**. დამნაშავეა აგრეთვე მწვრთნელი **ტანიგავა** (ყოფილი კომუსუბი **კაიჰო**). სამ ადამიანს შედარებით მსუბუქი განაჩენი გამოუტანეს, რადგან მათ აღიარეს დანაშაული, ესენია: **ჩიოჰაკუჰო, ენაცუკასა** და მწვრთნელი **ტაკენავა** (ყოფილი რიკიში **კასუგანიშიკი**) - ისინი 2-2 წლით დასაჯეს.

სუმოს ახალი რეიტინგი 25 აპრილს გამოქვეყნდება, მორიგი ბაშო კი 8-22 მაისს გაიმართება. წესით და რიგით, ლევან ცაგურია (**კოკაი**) ძურიოს დივიზიონში კარიერაში პირველად უნდა დაქვეითებულიყო, მაგრამ უმაღლესი დივიზიონიდან 6 რიკიშის გაძევების შემდეგ, შესაძლოა, „შავი ზღვა“ ისევ უმაღლესში დატოვონ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველი NBA-ში

ზაზა VS ბოსტონი

# ლარი დრიუ: ფაჩულია სუპერი იყო!

## დოკ რივერსი: ფაჩულიამ თამაშის ხასიათი შეცვალა

- ზაზა ფაჩულია სუპერი იყო. „ბოსტონთან“ შეხვედრის მეოთხე პერიოდში მისი შეცვლა აზრადაც არ მომსვლია, რადგან მისი მოედანზე შესვლით რიტმში ჩავჯექით და არ მსურდა რიტმის დარღვევა. ზაზა დიდებულად ირჯებოდა, ბურთსაც ხსნიდა და დაკარგული ბურთებისთვისაც კარგად იბრძოდა. ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რასაც მაღალი დონის მეფარეებისგან ითხოვენ, - იოლი მისახვედრია ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, „ატლანტას“ თავკაც **ლარი დრიუს**, რომელმაც წინა მატჩში („ორლანდოსთან“) ფაჩულია მეოთხე პერიოდის შუაში შეცვალა და 8-ქულიანი უპირატესობა ყინულივით შემოადნა. „ორლანდოსთან“ ზაზა იმდენად კარგად გამოიყურებოდა, მწვრთნელს რომ არ დაესვა, ქართველზე ამერიკული პრესა ერთი დღით ადრე ალაპარაკდებოდა. თუმცა, სჯობს გვიან ვიდრე არასდროს - აღმოსავლეთის კონფერენციის ლიდერ „ბოსტონ სელტიქსთან“ 88:83 მოგებულ მატჩში ზაზამ ორმაგი დუბლი შეასრულა: 15 ქულა, 10 მოხსნა, რითაც საკალათბურთო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. გაზეთმა „ატლანტა კონსტიტუშენმა“ მიმოხილვაში დაწერა: „ლარი დრიუმ აღმოაჩინა, რომ ზაზას დიდი სათამაშო დრო სჭირდება. განსაკუთრებით მაშინ, როცა „ჰოქსს“ ფარქვეშ სურს უპირატესობის მოპოვება“.

„ბოსტონთან“ „ატლანტას“ საშინაო გამარჯვებაში ფაჩულიას წვლილზე „ჰოქსის“ ოფიციალურ საიტზე წერია: „ზაზა მზად აღმოჩნდა „ბოსტონთან“ ძალისმიერი თამაშისთვის. მისმა მოედანზე დაბრუნებამ შეხვედრის სურათი შეცვალა - „ატლანტამ“ 12-ქულიანი ჩამორჩენა მალე აღმოფხვრა და ზაზას ორქულიანის შემდეგ 71:69 დაწინაურდა კიდეც. 15-დან 10 ქულა ფაჩულიამ მეოთხე პერიოდში ჩააგდო, ხოლო ოთხი ზუსტი საჯარიმო გადამწყვეტ მომენტში შეასრულა: ორმა საჯარიმომ „ჰოქსის“ ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა (66:69), ხოლო სირენამდე 36 წამით ადრე ზაზას ორმა თავისუფალმა ტყორცნამ მატჩის ბედი გადაწყვიტა - „ატლანტამ“ 5-ქულიანი ფორა მოიპოვა (86:81). ამასთან, ქართველმა ცენტრმა ფარზე დომინირება მეოთხე პერიოდში 6 მოხსნით აღნიშნა.

თუმცა, მხოლოდ სტატისტიკაში არ გამოიხატა ფაჩულიას ღირებულება: მისმა ენერგიულმა თამაშმა ტრიბუნებიც აიყოლია“.

ნამატჩევს „ბოსტონის“ დამრიგებელმა **დოკ რივერსმა** (რომელიც 2003-04 წლებში „ორლანდოში“ ფაჩულიას წვრთნიდა და ცოტას ათამაშებდა) აღიარა:

- დრიუმ დიდებული გადაწყვეტილება მიიღო: მესამე პერიოდის ბოლოს ზაზა ფაჩულიას მოედანზე შემოსვლამ თამაშის ხასიათი მთლიანად შეცვალა. იგი საუკეთესო იყო, ფარქვეშ არავის არაფერს ანებებდა, შეტევაშიც ხსნიდა. მოკლედ, მეოთხე პერიოდში „ატლანტა“ აშკარად გამოაცოცხლა.

მატჩის პირველ პერიოდში ფაჩულიამ და **ჯერმეინ ონილმა** ერთმანეთისკენ გაიწიეს, თუმცა ზაზასა და ბოსტონელთა ჩხუბის შესახებ ამავე გვერდზე ცალკე სტატიაში დავწერთ. აქ კი შეგახსენებთ, რომ ჯორჯიელებს 44 მოგება მოუგროვდათ (32 წაგების წილ) და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეხუთე ადგილზე არიან. მეოთხეა „ორლანდო“ (48 გამარჯვება), მესამე - „ბოსტონი“ (52), მეორე - „მაიამი“ (53), პირველი - „ჩიკაგო“ (56).

დღეს გამთენიისას „ატლანტა“ ჰიუსტონს სტუმრობდა.

**ატლანტა-ბოსტონი 88:83**

**ზაზა ფაჩულია:** 23:22 წუთი, 15 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 8-დან 7 საჯარიმო), 10 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 ფოლი, 2 შეცდომა

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 02:01 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 01:59 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:16 | ორქულიანი: 2ძ (23:19) |
| 00:01 | ორმაგი ტექნიკური: ზაზა, ონილი. |
| **II პერიოდი** | |
| 11:58 | ფოლი: 1 |
| 11:39 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 11:18 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 10:07 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:31 | საჯარიმოები: 2/1 (3ძ, 24:23) |
| 08:42 | შეცდომა: 1 |
| 04:32 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 01:53 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 01:06 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 01:06 | ორქულიანი: 5ძ (58:66) |
| 00:36 | შეცდომა: 1 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:35 | ორქულიანი: 7ძ (64:68) |
| 10:54 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 10:53 | საჯარიმოები: 2/2 (9ძ, 66:69) |
| 10:07 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 09:40 | ორქულიანი: 11ძ (71:69) |
| 08:50 | ჩაჭრა: 1 (პირსს ჩაუჭრა) |
| 07:17 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 06:48 | მოხსნა: შეტ-4, დაც-4 |
| 04:15 | მოხსნა: შეტ-5, დაც-4 |
| 04:15 | საჯარიმოები: 2/2 (13ძ, 79:75) |
| 03:17 | ჯონსონი: 3ძ (82:75) |
| 03:05 | პირსი: 2+1ძ (82:78) |
| 02:54 | ჯონსონი: 2/2 (84:78) |
| 02:39 | ალენი: 3ძ (84:81) |
| 02:17 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:30 | მოხსნა: შეტ-5, დაც-5 |
| 00:36 | საჯარიმოები: 2/2 (15ძ, 85:81) |
| 00:30 | ფოლი: 2 |
| 00:30 | პირსი: 2/2 (86:83) |
| 00:07 | ჰორფორდი: 2ძ (88:83) |





# ზაზა ბოსტონელებს რამეს შეარჩენდა?!

## ფაჩულია: სელტიქსი არ მეჯავრება

სატურნირო თვალსაზრისით ატლანტაში გამარჯვება ბოსტონელებს ძალიან სჭირდებოდათ. ამიტომ, შეხვედრა თავიდანვე ემოციებით იყო გაჯერებული.

პირველ ტაიმშივე ვიხილეთ არაერთი განევ-გამოწევა. საწყისი მეოთხედის ბოლო წამზე საკუთარი მოედნისკენ მიმავალი **ზაზა ფაჩულია ჯერმეინ ონილს** მხრით ოდნავ გამოედო. მსაჯმა ეს ტექნიკურ ჯარიმად შეაფასა, ხოლო ბოსტონელი „დაზარალებული“ აენთო და ქართველისკენ გაიწია, რის გამოც მსაჯისგან ტექნიკური შენიშვნა დაიმსახურა. საბოლოოდ, ონილი და ფაჩულია თანაგუნდელებმა შეაჩერეს...

ამერიკელმა მიმომხილველებმა 2008 წლის პლეი ოფში ფაჩულია-გარნეტის ჩხუბი გაიხსენეს და ზაზას „ბოსტონთან“ მატჩზე ჰკითხეს.

- „სელტიქსი“ კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერია და მასთან შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქომაგებისთვის, ასევე „ატლანტას“ ორგანიზაციისთვის და კალათბურთელებისთვის. მეტოქეს არაფერი დავუთმეთ. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. „ბოსტონთან“ ამ სეზონში ორი წაგება გვქონდა და გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ მისი ძლევა შეგვიძლია. შესანიშნავად ვითამაშეთ მეოთხე პერიოდში, თამაშის გეგმა არ შეგვიცვლია და დამაჯერებლად გავიმარჯვეთ.

მეოთხე პერიოდში ზაზამ მოედანზე **ჯოშ სმიტის** ადგილი დაიკავა. ჯოში კი ათამაშებულ თანაგუნდელს ადევნებდა თვალს.

- მეოთხე პერიოდში ფაჩულიას დიდი ქომაგი ვიყავი. მან „სელტიქსის“ ფორმით მოთამაშე ყველა კალათბურთელს დაანახვა საკუთარი უპირატესობა.

ელ ჰორფორდმა განაგრძო:

- ზოგჯერ ბოსტონელები ზემოდან იყურებიან. ვფიქრობ, ისინი Z-სთან მიმართებაშიც არასწორად იქცევიან, რაც ქართველს ძალიან აბრაზებს. ფაჩულია მეტოქეებს არასოდეს არაფერს უთმობდა და შეიძლება ბოსტონელებზე ესეც მოქმედებს, ფიქრობენ, რომ ზაზაზე უკეთესები არიან, მაგრამ რეალურად Z მათზე არაფრით ნაკლები არ არის და ვამაყობ, რომ ამ საღამოს მან ეს მოედანზე დაამტკიცა.

- ბოსტონელები არ მეჯავრება. მათთან თამაში მიყვარს. პლეი ოფი ახლოვდება და ასეთი ემოციური მატჩები საჭიროა როგორც ჩემთვის, ასევე გულშემატკივრებისთვის, - დასძინა ფაჩულიამ.

**ლეგიონი**

**იტალია**

**კანტუ-მონტეგრანარო 67:56**

მანუჩარ მარკოიშვილი („კანტუ“): 25 წუთი, 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი.

**ვირტუსი-სისარი 81:87**

ვიქტორ სანიკიძე: 22 წუთი, 11 ქულა, 11 მოხსნა, 1 დაფარება.

**სლოვენია**

**ოლიმპია-მარიბორი 102:68**

გიორგი შერმადინი („ოლიმპია“): 11 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

ვლადიმერ ბოისა („ოლიმპია“): 15 წუთი, 5 ქულა, 3 პასი, 1 მოხსნა.

ვაჟა სიმონიშვილი

სუპერლიგა. XX ტური

# მედიკოსების პლეი ოფი

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 2 ტური დარჩა. ჯერაც ბევრი რამაა გასარკვევი - როგორ განაწილდება ადგილები ზედა ოთხეულში, ვინ მოხვდება საპლეიოფო ზონაში...

მე-20 ტურმა პლეი ოფის მონაწილე ერთი გუნდი გაარკვია: „სამედიცინო“, რომელმაც სტუ-ს სძლია.

არმიელებმა პლეი ოფის საგზურისთვის მებრძოლი „ბათუმი“ 101:67 დაამარცხეს. ახლა ზღვისპირელებს რვა გუნდს შორის მოსახვედრად დარჩენილ ორ მატჩში ერთი მოგება სჭირდებათ, მეტოქეები კი სერიოზული ჰყავთ - „ქუთაისი“ და „სამედიცინო“.

მომდევნო ტურში შსს-“არმიას“ დაპირისპირებაა. მატჩი შაბათს, 9 აპრილს უნდა გამართულიყო, მაგრამ 8 აპრილისთვის გადმოიტანეს. გადახედეთ სატურნირო ცხრილს და ნახავთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ მატჩს ორივე გუნდისთვის.

**ნუგზარ კანდელაკის, ჯეფ როჯერსისა** და **აკაკი დვალიშვილის** მისვლის შემდეგ „სამედიცინომ“ თამაში ააწყო და მისი შეჩერება ყველას უჭირს.

სტუ-ელებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ შემადგენლობის გათვალისწინებით „მედიკოსებს“ ფარქვეშ ვერ აჯობებდნენ და აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე გააკეთეს. თავიდან ყველაფერი გეგმიურად მიდიოდა - **ბექა ჩიკვილაძე** სამიანს სამიანზე აგდებდა (სულ 12-დან 8 სამქულიანი გამოიყენა), თუმცა მხოლოდ ერთ კომპონენტში უპირატესობა „გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანს“ შაბათსაც გამოჩნდა: „სამედიცინომ“ სტუ-ს მოხსნებში 64:27 აჯობა და ლოგიკურადაც გაიმარჯვა.

ტურის საუკეთესო კალათბურთელის არჩევა იოლი არ იყო: ერთმანეთზე უკეთესად ითამაშეს **ჭოჭუამ, ბექაურმა**, დვალიშვილმა და როჯერსმა... თუმცა, ჟურნალისტთა საერთო გადაწყვეტილებით ტურის MVP მიხეილ ჭოჭუა გახდა.

თსუ-ს შეიძლება თავდაჯერების გამო „აგრარულთან“ პირველ ტაიმში თამაშის დალაგება გაუჭირდა. არც „აგრარების“ კარგი გარჯა უნდა დაგვრჩეს დაუფასებელი...

თუმცა მეორე ნახევრიდან ფავორიტმა უპირატესობა ანგარიშში ასახა და მეორე წრეში წაუგებელი სერია გააგრძელა.

**2 აპრილი, თბილისი**

| | |
|---|---|
| არმია | 101 |
| ბათუმი | 67 |

25:13, 29:10, 19:24, 28:20

**არმია:** ბაქრაძე (10ქ, 8ვ), ბოისა (13ქ, 6მ), საყვარელიძე (12ქ, 5მ, 5პ, 3ჩ), ბაბიაშვილი (17ქ, 10მ), ათუაშვილი (5ქ, 7მ), ტულუში (30ქ, 8მ, 4პ), პირველაშვილი (6ქ), მოსეშვილი, ათანელიშვილი (8მ), შარაბიძე (8ქ).

**ბათუმი:** რამიშვილი (1ქ), მიქელაძე (13ქ, 3პ), ელიაშვილი (4ქ, 7მ), სანაძე (10ქ, 8მ, 3პ), ნ. ჩხატარაშვილი (10ქ), ნინუა (9ქ), კეშელავა (2ქ, 4პ), ყველაშვილი (18ქ, 6მ)

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

**კომისარი:** თ. ქოქიძე

**2 აპრილი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სტუ | 76 |
| სამედიცინო | 93 |

16:15, 19:21, 17:23, 24:34

**სტუ:** ჩიკვილაძე (34ქ, 5მ), ვ. ბერუაშვილი (12ქ, 6მ, 6პ, 2დ), გასიტაშვილი (2ქ), ჯანგველაძე, კობიძე (4ქ, 5მ), ჭოხონელიძე (3ქ), ლომოური (15ქ), თევზაძე (6ქ, 6პ, 3ჩ), ძიძიგური, ახალკაცი.

**სამედიცინო:** როჯერსი (19ქ, 13მ, 6პ), გულისაბედაშვილი (2ქ, 6მ, 4პ), ჩაჩიბაია (9ქ), ბექაური (11ქ, 9მ, 5პ, 4დ), დვალიშვილი (16ქ, 16მ), თავართქილაძე, ახალაია (2ქ), გაბისონია, როდუმტა (7ქ), ჭოჭუა (27ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**კომისარი:** მ. რატიშვილი

**2 აპრილი, თბილისი**

| | |
|---|---|
| თსუ | 107 |
| აგრარული | 65 |

22:26, 25:15, 28:12, 32:12

**თსუ:** ჩიტაშვილი (18ქ, 9პ), გაფრინდაშვილი (7ქ, 3პ, 4ჩ), ფანჩულიძე, მ. ბერიშვილი (20ქ, 14მ, 8პ, 3დ), ლონდარიძე (13ქ, 8მ), ხიზანიშვილი (6მ), მარხვაშვილი (2ქ), კორკოტაძე (11ქ, 7მ), მათიაშვილი (27ქ, 7მ, 3ჩ), ზ. დეკანოიძე (4ქ), ზ. მაისურაძე (5ქ).

**აგრარული:** სიგუა (6ქ, 4პ), ბააკაშვილი (6ქ), ჩაჩანიძე (3ქ), გემაზაშვილი (10ქ, 6მ), ხანიაშვილი (14ქ, 3პ, 3ჩ), ტეტელაშვილი (2ქ, 6მ), ნანიტაშვილი (9ქ), კანდელაკი (2ქ), მუმლაძე (11ქ), არნივიძე (2ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**კომისარი:** მ. რატიშვილი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 19 | 16 | 3 | 1787/1527 | 35 |
| 2. არმია | 18 | 16 | 2 | 1583/1229 | 34 |
| 3. შსს | 18 | 13 | 5 | 1591/1370 | 31 |
| 4. ქუთაისი | 18 | 13 | 5 | 1467/1313 | 31 |
| 5. სოხუმი | 18 | 11 | 7 | 1474/1344 | 29 |
| 6. სამედიცინო | 18 | 7 | 11 | 1343/1330 | 25 |
| 7. ენერჯი | 18 | 7 | 11 | 1256/1370 | 25 |
| 8. ბათუმი | 18 | 6 | 12 | 1391/1496 | 24 |
| 9. სტუ | 18 | 5 | 13 | 1417/1562 | 23 |
| 10. აგრარული | 18 | 4 | 14 | 1263/1499 | 22 |
| 11. დინამო | 19 | 2 | 17 | 1302/1834 | 21 |

გვერდი მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. ნიმცოვიჩი; 5. კიმი; 7. უინტერბოტომი; 9. სპარტაკიადა; 10. მარსი; 11. ოლიმპიადა; 13. იაშკა; 14. სპიდომეტრი; 17. ნილისი; 19. არიგო; 20. ორტი; 22. პარმა; 24. შავგულიძე; 26. რენძიუ; 27. რეი; 28. ნაკადა.

**შვეულად:** 1. ნიუკომბი; 2. მინდორაშვილი; 3. ოუენსი; 4. იებოა; 5. კვირიკაშვილი; 6. მურადიანი; 8. ტატამი; 12. ლიბერო; 14. სნაიპერი; 15. ოვოიანი; 16. ინინგი; 18. "ინტერი"; 21. დიარა; 23. „რენო“; 25. ალენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# იღბლიანი ტური და ქუბრიაშვილის ლელო


დავით ქუბრიაშვილის (მარჯვნივ) სალელოვე შეტევა

**I დივიზიონი**

**XXIII ტური**

პერპინიანი-ტულუზი 24:25, ბაიონი-მეტრო რასინგი 26:16, ბრივი-ლა როშელი 26:9, ბურგუენი-მონპელიე 27:42, ტულონი-სტად ფრანსე 38:10, კლერმონი-ბიარიცი 41:13, აჟენი-კასტრი 21:16.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 73 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 68, 3. მონპელიე - 65, 4. კასტრი - 64, 5. კლერმონი - 63, 6. ბიარიცი - 62, 7. ტულონი - 61, 8. პერპინიანი - 59, 9. ბაიონი - 58, 10. სტად ფრანსე - 49, 11. ბრივი - 42, 12. აჟენი - 42, 13. ლა როშელი - 33, 14. ბურგუენი - 10.

**XXIV ტური**

პერპინიანი-მეტრო რასინგი, ბიარიცი-ბრივი, ტულონი-ტულუზი, მონპელიე-ბაიონი, სტად ფრანსე-კლერმონი, ლა როშელი-აჟენი, ბურგუენი-კასტრი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში 23-ე ტურის მატჩების შემდეგ ქართველ მორაგბეთა გუნდების სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ექვსი „ქართული გუნდიდან" ხუთმა შესანიშნავად ითამაშა და გამარჯვება მოიპოვა.

ყველაზე უკეთესი სატურნირო მდგომარეობა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს" აქვს. ჩვენებურთა გუნდმა 23-ე ტურში სტუმრად ითამაშა აუტსაიდერ „ბურგუენთან" და 42:27 მოიგო.

როგორც ჩანს, მონპელიელებმა სათანადოდ არ დააფასეს მეტოქე და პირველი ტაიმი 15:20 წააგეს. შესვენების შემდეგ „მონპელიე" ჩვეულად მძლავრად ათამაშდა და სასურველ შედეგს მიაღწია. სტუმართა შორის ყველაზე შედეგიანი გარემარბი **მარტინ ბუსტოს მოიანო** იყო, რომელმაც ამჯერად ფულბეკის პოზიციაზე ითამაშა. მან ორი ლელო, ოთხი გარდასახვა და სამი საჯარიმო გაიტანა (27 ქულა).

„მონპელიეს" ამ გამარჯვების შემდეგ 65 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა. მომდევნო ტურში ჩვენებურთა გუნდი შინ „ბაიონს" მიიღებს. გორგოძე, რომელმაც სრულად ითამაშა, მატჩის არბიტრმა გაასინბინა, ჟღენტი 73-ე წუთზე შველიძემ შეცვალა, ჩხაიძეს და ნარიაშვილს არ უთამაშიათ.

„მონპელიეს" ერთი ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი", რომელმაც სტუმრად წააგო ბექა შეყლაშვილის „აჟენთან" - 16:21. თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმი ფრედ 6:6 დამთავრდა. შესვენების შემდეგ კი კასტრელები დაწინაურდნენ, თუმცა დასკვნით 15 წუთში მასპინძლებმა თამაშში გარდატეხის შეტანა მოახერხეს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

ფეიქრიშვილი ტრავმირებულია, გიორგაძე განაცხადში არ იყო, შეყლაშვილი თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო. „აჟენს" 42 ქულა დაუგროვდა და მე-12 ადგილზეა. ის ცხრა ქულით უსწრებს დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ლა როშელს", რომელმაც კიდევ ერთ კონკურენტ, **ვასილ კაკოვინისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივთან" დამარცხდა სტუმრად – 9:26. მომდევნო ტურში „აჟენი" სტუმრად სწორედ „ლა როშელს" დაუპირისპირდება.

„ბრივისთვის" ლაროშელელებთან თამაშს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, წაგების შემთხვევაში ჩვენებურთა გუნდი გასავარდნად იქნებოდა განწირული. ახლა კი, მართალია, მშვიდი ცხოვრება ჯერ არ ექნება, მაგრამ დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შანსი ერთიორად გაეზარდა.

„ბრივს" აჟენელთა მსგავსად ახლა 42 ქულა აქვს და მე-11 ადგილზეა. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე კაკოვინმა შეცვალა. ბრივლებს 24-ე ტურში უმძიმესი გამოცდა ელით სტუმრად ბასკურ „ბიარიცთან", რომელიც პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის.

თავის მხრივ ბიარიცელებმა, სტუმრად წააგეს საფრანგეთის ჩემპიონ, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონთან" - 13:41. „ვულკანებმა", მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, შესანიშნავად ითამაშეს და მე-18 წუთისთვის უკვე 22:0-ს იგებდნენ.

ზირაქაშვილი ტრავმირებულია. „კლერმონი" კი 63 ქულით მე-5 ადგილზეა. შემდეგ ტურში ჩვენებურის გუნდი სტუმრად ითამაშებს უმოტივაციო „სტად ფრანსესთან", რომელმაც 23-ე ტურში სტუმრად წააგო **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონთან" - 10:38.

ტულონელებმა, რომლებიც ამ მოგების შემდეგ 61 ქულით მე-7 ადგილზე არიან და პლეი ოფისთვის ბრძოლას განაგრძობენ, შეიძლება ითქვას, რომ სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშეს. აღსანიშნავია, რომ ქუბრიაშვილმა, რომელიც 73-ე წუთზე შეცვალეს, მე-16 წუთზე ლელო გაიტანა.

„ტულონი" მომდევნო ტურში გათამაშების ლიდერ „ტულუზს" ეთამაშება და აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, რადგან რეგულარული გათამაშების დამთავრებამდე უშუალო კონკურენტებთან, „პერპინიანთან" და „მონპელიესთან" უწევს თამაში.

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური კი ქართველ მორაგბეთა გუნდებს, „ლიონს" და „გრენობლს" უკავია.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა" შინ უშუალო კონკურენტი, მესამეადგილოსანი „ალბი" დაამარცხა - 25:12. ამ გამარჯვების შემდეგ ლიონელებს 88 ქულა დაუგროვდათ და უახლოეს მდევარ „ალპელებს" შვიდი ქულით უსწრებენ. კავთიძეს არ უთამაშია.

**გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა" სტუმრად დაამარცხა „ოიონაქსი" - 26:19. მენაბდიშვილი განაცხადში არ იყო. **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" სტუმრად წააგო „ოიონაქსთან" - 7:26. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავა განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

**XXVI ტური**

პო-მონ დე მარსანი 16:22, ბორდო-კარკასონი 40:23, დაქსი-ტარბი 26:7, ნარბონი-ორიაკი 23:26, ოიონაქსი-გრენობლი 19:26, ოში-კოლომიე 37:7, ლიონი-ალბი 25:12, სენტ ეტიენი-ექსი 22:29

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 88 ქულა, 2. გრენობლი - 81, 3. ალბი - 80, 4. ბორდო - 73, 5. მონ დე მარსანი - 69, 6. ოში - 65, 7. პო - 63, 8. ორიაკი - 62, 9. ოიონაქსი - 60, 10. ტარბი - 59, 11. კარკასონი - 58, 12. ექსი - 53, 13. ნარბონი - 52, 14. დაქსი - 48, 15. კოლომიე - 43, 16. სენტ ეტიენი - 16.

**XXVII ტური**

პო-დაქსი, კარკასონი-ექსი, ტარბი-ლიონი, ნარბონი-ოში, კოლომიე-ოიონაქსი, ორიაკი-ალბი, მონ დე მარსანი-ბორდო, სენტ ეტიენი-გრენობლი.


ბურთით ვასილ კაკოვინი

საქართველოს თასი


ბესო ნასიძის შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ფრე, რომელიც მოგების ტოლფასია

**ყოჩები-აკადემია 9:9**

**ყოჩები:** (15-9) მახარაშვილი, ნიჟარაძე, პ.მაისურაძე, კობერიძე, გეგენავა, კვარაცხელია (ვასაძე 60), ბეგაძე (ხელაძე 72). (1-8) ანთაძე, მამუკაშვილი, ხოსიტაშვილი, ბელაშვილი, გრძელიშვილი, ცხვედიანი, ტყეშელიაძე, ნიკოლაიშვილი (ილაევი 70).
**ვს:** გეგენავა
**აკადემია:** (15-9) დავითაშვილი, გოგოლაშვილი, ნასიძე, მოლოდინაშვილი, ჭუაძე, მარგიანი, ქოპილაშვილი. (1-8) ზაქაშვილი (დიაკონიძე 73), მეკოკიშვილი, ლამბაშიძე, ნებულიშვილი (ხარაძე 78), გაჩეჩილაძე, ნიბლაძე, გოგოლაძე (ობოლაძე 62), ჩხიკვაძე
**ვს:** მეკოკიშვილი
**მსაჯი:** თ. ჩორგოლეიშვილი

საქართველოს თასის წლევანდელ გათამაშებაში, გადატვირთული სეზონის გამო, მხოლოდ უმაღლესი ლიგის გუნდები ასპარეზობენ. შეჯიბრება მეოთხედფინალური შეხვედრებით გაიხსნა, რომელიც საკმაოდ დაძაბულ, საინტერესო ბრძოლებში წარიმართა. მატჩებმა, ნაწილობრივ, შესაძლებელი გახადა ზოგადი დასკვნები გაგვეკეთებინა, რომელი გუნდი რამდენად კარგად მომზადებული შეხვდა სეზონს.

„შევარდენის სანაკრებო ბაზის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ერთმანეთს თბილისური გუნდები „ყოჩები" და „აკადემია" დაუპირისპირდნენ. მეტოქეებმა სამ-სამი საჯარიმო გაიტანეს და შეხვედრა ფრედ 9:9 დასრულდა.

„ყოჩები" თამაშს მოძალებული პრობლემებით შეხვდნენ. გუნდი სეზონის წინ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, ზედ თამაშამდე კი ორი პირველხაზელი **ბაჩანა გოგიშვილი** და **გიორგი ნიჟარაძე**, მეორეხაზელი **მიხეილ არჩუაშვილი** დაუშავდა.

„აკადემია" ტრადიციულად თავისი აღზრდილებით მოლონიერდა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში გარკვეულ სათამაშო უპირატესობას ფლობდა, თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა ვერ შეძლო. აკადემიელებმა, შეიძლება ითქვას, პირწმინდად წააგეს დერეფანი, რაც მეტოქემ სათანადოდ ვერ გამოიყენა.

ორივე გუნდი ხშირად სცოდავდა, ბურთის წინ გავარდნა, თერნოვერი თამაშში უხვად იყო, რაკში, მინაზე თამაშის დროსაც ხშირად არღვევდნენ წესს. ანგარიში „აკადემიამ" მე-9 წუთზე გახსნა - 3:0. ხელსაყრელი პოზიციიდან შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა** საჯარიმო ზუსტად დაარტყა.

„ყოჩებს" ანგარიშის გაქვითვის საშუალება მალევე მიეცათ, თუმცა ფულბეკმა **შავლეგ მახარაშვილმა** საჯარიმო ვერ გაიტანა. სამქულიანი სხვაობა ტაიმის 35-ე წუთამდე შენარჩუნდა. მეკოკიშვილმა საჯარიმოდან კიდევ ერთხელ გაიტანა - 6:0, რაზეც „ყოჩების" გარემარბმა **ირაკლი გეგენავამ** საჯარიმოთივე უპასუხა - 3:6.

პირველ ტაიმში ბოლო სიტყვა მაინც აკადემიელებმა თქვეს. თავი ისევ მეკოკიშვილმა გამოიჩინა - 9:3, ასე დასრულდა პირველი ნახევარი .

შესვენების შემდეგ „ყოჩები" გააქტიურდნენ და 57-ე წუთისთვის გეგენავამ ორი საჯარიმოს წყალობით ანგარიშის გათანაბრება შეძლო - 9:9. მატჩის ბოლო 15 წუთში ინიციატივა „აკადემიამ" იგდო ხელთ, თუმცა „ყოჩები" დაცვაში ყურადღებით ირჯებოდნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ წესი არ დაერღვიათ.

საბოლოოდ თამაში, როგორც უკვე ვთქვით, ფრედ 9:9 დასრულდა, რამაც ნახევარფინალის საგზური, დებულების თანახმად, „ყოჩებს" მოუტანა. ვინაიდან ამ შეხვედრაში გუნდებს ყველა მაჩვენებელი (ლელოები, ყვითელი ბარათები) თანაბარი ჰქონდათ, უპირატესობა იმ გუნდს მიენიჭა, ვინც შარშანდელ ჩემპიონატში უკეთესი ადგილი დაიკავა. „ყოჩები" შარშან მე-3 იყო, „აკადემია" კი მე-6.

„ყოჩების" მეტოქე ნახევარფინალში იქნება თასის ამჟამინდელი მფლობელი „ლელო", რომელმაც იქ თამაშის უფლება უბრძოლველად მოიპოვა. - „არმაზმა" თამაშზე უარი განაცხადა.

საინტერესო და დაძაბული გამოდგა მატჩი „ავჭალის" სტადიონის სათადარიგო მოედანზე, სადაც ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი „ლოკომოტივი" და დებიუტანტი „არმია" დაუპირისპირდნენ. თამაში არმიელთა გამარჯვებით დასრულდა - 11:9 და ახლა, ნახევარფინალში ქუთაისის „აიას" შეხვდება, რომელმაც ვანში დიდი ანგარიშით მოუგო რუსთავის „ხარებს" - 50:0.

**საქართველოს თასი**

**მეოთხედფინალი**

არმია-ლოკომოტივი 11:9
აია-ხარები 50:0

**ნახევარფინალი**

25 ივნისი
არმია-არმია, ყოჩები-ლელო

2 ივლისი
არმია-აია, ლელო-ყოჩები

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

# ცუდი ბიჭი დიდების დარბაზში

ორმაგად ბედნიერი იყო გასულ უქმეებზე სკანდალურად ცნობილი კალათბურთელი, „დეტროიტისა“ და „ჩიკაგოს“ ყოფილი მოთამაშე **დენის როდმანი**.

სწორედ მისი ყოფილი კლუბების მატჩის დიდი შესვენების დროს, „დეტროიტის“ საშინაო არენის თაღზე დაკიდეს როდმანის 10-ნომრიანი მაისურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან „პისტონზის“ რიგებში ამ ნომრით ვერც ერთი კალათბურთელი ვერ ითამაშებს.

ცერემონიაზე დენისმა თავის გულშემატკივრებს გაუმხილა, რომ სულ მალე მას NBA-ის დიდების დარბაზშიც შეიყვანენ, თუმცა იქვე დაამატა, რომ არ იმსახურებს ამგვარ აღიარებას.

*„დღეს ჩემთვის შესანიშნავი საღამოა. დიდების დარბაზში ამირჩიეს. ამის შესახებ გუშინ მითხრეს, რათა წინასწარვე მოვემზადო მომავალი ცერემონიისთვის,* - გამოაცხადა როდმანმა. - *ჩემთვის ეს სრული მოულოდნელობა იყო. ვგრძნობ, რომ არ ვიმსახურებ ამას, რადგან კალათბურთში ბოლომდე არ გამიკეთებია ის, რაც შემეძლო. ასე ადრე არ უნდა დამემთავრებინა კარიერა. პირველ წლებში „პატარა ბავშვი“ ვიყავი. შეიძლება ეს იმის გამო მოხდა, რომ ძალიან აღელვებული ვიყავი NBA-ში მოხვედრით. ჩემი მიღწევების გამო „დეტროიტს“ უნდა ვუმადლოდე და არა მხოლოდ გუნდსა და მთავარ მწვრთნელს, არამედ „პისტონზის“ ყველა თანამშრომელს. იმ დროს „დეტროიტი“ ერთი დიდი ოჯახივით იყო“.*

შეგახსენებთ, რომ როდმანი NBA-ის ხუთგზის ჩემპიონია. ორი ტიტული მან „დეტროიტის“ შემადგენლობაში მოიპოვა, სამჯერ - „ჩიკაგოში“ გამოსვლის დროს.

დიდების დარბაზში შეყვანის ცერემონია აგვისტოში გაიმართება. როდმანის გარდა კანდიდატი კიდევ 11 კალათბურთელი იყო, მათ შორის ისეთი ცნობილი მოთამაშეები, როგორებიც არიან **მორის ჩიქსი, ჯამაალ უილქსი, კრის მულინი** და **რალფ სემპსონი**.

# ნომერ პირველი სიმულანტი

ძალიან საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა NBA-ის მოთამაშეებს შორის ჟურნალმა Sports Illustrated-მა. თავად კალათბურთელებს უნდა გაერკვიათ - ვინ არის ასოციაციაში ყველაზე მოხერხებული სიმულანტი.

აი, როგორი ხუთეული მიიღეს ჟურნალისტებმა 152 კალათბურთელის გამოკითხვის შემდეგ.

პირველი ადგილი დამაჯერებლად მოიპოვა „კლივლენდის“ ბრაზილიელმა ლეგიონერმა **ანდერსონ ვარეჟაომ**. მეორეზე აღმოჩნდა „სან ანტონიოს“ არგენტინელი მცველი **მანუ ჯინობილი**, მესამეზე კიდევ ერთი არგენტინელი - **ლუის სკოლა** („ჰიუსტონი“). მათ მოჰყვებიან **დერეკ ფიშერი** „ლეიკერსიდან“ და „ჰიუსტონის“ კიდევ ერთი მოთამაშე - **კევინ მარტინი**.


ანდერსონ ვარეჟაო

კრივი

# ჩემპიონმა მოიგო

გასულ უქმეებზე არ იყო დანიშნული განსაკუთრებულად გამორჩეული ბრძოლები. ყველაზე საინტერესო საკრივო შოუ გერმანიის ქალაქ ჰალეში ვიხილეთ, სადაც მძიმე წონაში WBO-ის ტიტულს იცავდა გერმანელი **მარკო ჰუკი** (32-1, 23KO). მისი მეტოქე აქამდე დაუმარცხებელი ისრაელელი **რენ ნაკაში** (25-0, 18KO) იყო.

12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ ნაკაშს შეუძლია სამშობლოში თავაწეული დაბრუნება, რადგან ჩემპიონს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

შეხვედრა სწორედ სტუმარი მოკრივის აქტიურობით დაიწყო, ჰუკმა კი ლოდინის ტაქტიკა აირჩია. მაგრამ პრეტენდენტი მალე დაიღალა და გერმანელმა აპერკოტებით დაიწყო მეტოქის დამუშავება. ნაკაშმა გაძლო, მაგრამ 12 რაუნდის გასვლის შემდეგ სამივე მსაჯმა უპირატესობა ჩემპიონს მიანიჭა: 118:110, 118:110, 116:112.

ამ საჩემპიონო ჩხუბის წინ ჰალეს რინგზე გაიმართა გასახურებელი ბრძოლა სუპერმძიმე წონაში. ცნობილი ნიგერიელი, „შავ კოშმარად“ წოდებული **სამუელ პიტერი** (34-5, 27KO) დაუმარცხებელ სუპერმძიმეწონოსან **რობერტ ჰელენიუსს** (15-0, 10KO) ხვდებოდა.

ნიგერიელმა შესამჩნევად მოიმატა წონაში და ამ შეხვედრაში ნოკაუტის იმედი ჰქონდა. ამიტომაც აფრიკელმა მთელი ბრძოლა აგრესიულ სტილში ჩაატარა, მაგრამ თავად გახდა ნოკაუტის მსხვერპლი. მეცხრე რაუნდში ჰელენიუსმა ჯერ ღრმა ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, შემდეგ შეტევაში კი უკვე ნოკაუტი დაფიქსირდა. ორივე შემთხვევაში იმუშავა ფინელი მოკრივის მარცხენა ჰუკმა.

ჰუკი უტევს



NBA. რეგულარული ჩემპიონატი


დერიკ როუზი თვის მოთამაშე გახდა

# სპურსის ლიდერობას წყალი შეუდგა

„სან ანტონიო სპურსს“ ალარაფერი შველის. რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი მორიგ ტურში უკვე სამივე ლიდერით (გუნდს დაუბრუნდა **მანუ ჯინობილი**) დაუპირისპირდა „ჰიუსტონს“, მაგრამ მაინც წააგო ზედიზედ მეექვსე შეხვედრა. ასეთი უილბლო სერია „სპურსს“ ბოლო 14 (!) წელია არ ჰქონია. რაც მთავარია, ეს წარუმატებელი მონაკვეთი ჩემპიონატის ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდს დაემთხვა, როცა რეგულარული სეზონის გამარჯვებული ირკვევა. ცოტა ხნის წინ „სან ანტონიოს“ პირველობას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ახლა გრეგ პოპოვიჩის გუნდს „ლეიკერსი“ წამოეწია, რომელმაც „ოლ სტარის“ უქმეების შემდეგ ფანტასტიკური ტემპი აკრიფა. ასევე ახლოა „სპურსთან“ აღმოსავლეთის ლიდერი „ჩიკაგო“.

ტეხასურ დერბიში „ჰიუსტონსაც“ აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, რადგან ეს გუნდი რეგულარულის ბოლო ტურამდე იბრძოლებს მერვე ადგილზე გასასვლელად. მთავარი მოვლენები მატჩის ბოლოს განვითარდა. მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე 40 წამით ადრე „სპურსი“ სამი ქულით ლიდერობდა და ყველაფერი მის ხელში იყო. ასეთი გამოცდილი გუნდისთვის ეს მხოლოდ ერთს - გამარჯვებას ნიშნავდა. მაგრამ **კორტნი ლიმ** ჩაჭრა **ჯორჯ ჰილის** პასი და სწრაფ გარღვევაში ჩააგდო. ამას მოჰყვა **დანკანის** ორქულიანი, თანაც **ჰეიესის** პერსონალურთან ერთად, მაგრამ მსაჯებმა გადაწყვიტეს, რომ ჰიუსტონელმა სროლამდე დაარღვია წესი და ტიმი საჯარიმოს ხაზზე დააყენეს - იმის ნაცვლად, რომ სამი ქულა აელო ერთ შეტევაში, მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო - 108:106.

**კაილ ლოურიმ** საშუალო მანძილიდან 3.9 წამით ადრე გაათანაბრა ანგარიში, ჯინობილიმ კი ჩააგდო საპასუხო შეტევაში, მაგრამ დრო გასული იყო და ოვერტაიმი დაინიშნა. აქ კი ფავორიტს ძალები გამოელია. **ბონერისა** და **პარკერის** აცილებული სამქულიანებისა და ჯინობილის შეცდომის შემდეგ „ჰიუსტონი“ ბოლო შეტევას სამქულიანი უპირატესობით იწყებდა. პოპოვიჩმა თავის შეგირდებს პერსონალურის აღებისკენ მოუწოდა, მხოლოდ 7.5 წამით ადრე შეისმინეს მასპინძლებმა მწვრთნელის მონოდება, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. განრისხებულმა პოპოვიჩმა ისე მოიქნია თავისი პლანშეტი, რომ კინალამ ტრავმა მიაყენა თავის ერთ-ერთ ასისტენტს.

■ ■ ■

„ლეიკერსი“ კი, როგორც გითხარით, აგრძელებს გამარჯვებათა სერიას. ჩემპიონი ერთ დროს მრისხანე „იუტას“ სტუმრობდა. კალიფორნიელებმა პირველი ტაიმი დათმეს, მაგრამ სულ მალე 18:4 გაქცევის ხარჯზე გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ „ლეიკერსის“ ლიდერი **კობი ბრაიანტი** (21 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი) ამ გაქცევაში მონაწილეობას თითქმის არ იღებდა - მისი წვლილი 4 ქულა და ერთი შედეგიანი პასი იყო. მის გარეშეც სხვა მოთამაშეებმა დაასრულეს საქმე - **ბინუმმა, ფიშერმა, ბრაუნმა, ბლეიკმა, გასოლმა** და **ოდომმა** რიგრიგობით აიღეს მეტოქის ფარი და ყველას დაანახეს, რომ მოახლოებული პლეი ოფის წინ ჩემპიონს ყველაფერი წესრიგში აქვს.

■ ■ ■

ასევე კარგ ფორმაშია პლეი ოფის წინ „მაიამის“ „დიდი ტრიო“. შეგახსენებთ, რომ ბოლო მატჩებში **ლებრონ ჯეიმსმა, დუეინ უეიდმა** და **კრის ბოშმა** ფანტასტიკური შედეგიანობა აჩვენეს, მაგალითად, ორ მატჩში ისინი თავიანთ გუნდს 94-94 ქულით დაეხმარნენ. ამჯერად „მინესოტას“ წინააღმდეგ მათი მონაგარი „მხოლოდ“ 83 ქულა იყო. ყველაზე ნაყოფიერი იყო ლებრონი, რომელმაც 27 ქულით, 10 პასით, 6 მოხსნითა და 3 ჩაჭრით დატოვა მოედანი. ბევრით არ ჩამორჩენია მას უეიდი - 32 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, კრის ბოში კი ამჯერად ორმაგი დუბლით შემოიფარგლა - 24 ქულა და 11 მოსხნა.

## მარტის ლაურეატები

ამ უქმეებზე ასოციაციის ხელმძღვანელობამ მარტის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. ლიგამ მიიჩნია, რომ გასულ თვეს სხვებზე უკეთ ითამაშეს „ჩიკაგოს“ გამთამაშებელმა **დერიკ როუზმა** და „ლეიკერსის“ მცველმა **კობი ბრაიანტმა** - ისინი შესაბამისად აღმოსავლეთისა და დასავლეთ კონფერენციის ლაურეატები გახდნენ.

როუზმა თავის გუნდს 16-დან 13 მატჩში მოაგებინა. მან 42 ქულა დააგროვა „ინდიანას“ წინააღმდეგ და 17 პასი დაარიგა „მილუოკისთან“ მატჩში. რაც შეეხება ბრაიანტს, მარტში ჩატარებულ 13 შეხვედრაში მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი 25.8 ქულას, 4.8 მოხსნას და 4.4 შედეგიან გადაცემას უდრიდა. მათ გარდა მარტის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კაილ ლოური** („ჰიუსტონი“), **კრის ბოში, ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი** (ყველა - „მაიამი“), **კრის ჰემფრიზი** („ნიუ ჯერსი“), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰოლა“), **დუაიტ ჰოვარდი** („ორლანდო“), **ანდრე იგუოდალა** („ფილადელფია“) და **მარკუს ტორნტონი** („საკრამენტო“).

სხვათა შორის, მარტის საუკეთესო მწვრთნელები როუზისა და ბრაიანტის დამრიგებლები გახდნენ - **ტომ ტიბოდო** და **ფილ ჯექსონი**.

### 1 აპრილი

**ინდიანა-მილუოკი 89:88**

14:22, 32:17, 23:21, 20:28

**ი:** გრეინჯერი (17), ჰიბერტი (15+11 მოხსნა), რაში (12), ჰენსბრო (11+7 მოხსნა), კოლისონი (11+7 პასი).

**მ:** ჯენინგსი (20+7 მოხსნა), ბოგუტი (16+6 მოხსნა), მაგეტი (13), მბა ა მუტე (10+7 მოხსნა), გუდენი (8+10 მოხსნა).

**ორლანდო-შარლოტი 89:77**

23:17, 26:22, 21:21, 19:17

**ო:** ჰოვარდი (26+14 მოხსნა), ნელსონი (15+6 პასი), კ. რიჩარდსონი (14), თურქოგლუ (12+7 პასი), ბასი (12).

**შ:** კანინგემი (21+7 მოხსნა), ოგუსტინი (19+6 პასი), ჰენდერსონი (11+7 მოხსნა+5 პასი), ბრაუნი (6+11 მოხსნა).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 115:90**

29:21, 31:22, 34:22, 21:25

**ფ:** იანგი (22), ბრენდი (21+7 მოხსნა), ჰოლიდეი (17+7 პასი), იგუოდალა (14+7 პასი), უილიამსი (13+5 პასი).

**ნ-ჯ:** რაიტი (15+11 მოხსნა), უესტი (13), ლოპესი (11), ვუიაჩიჩი (10).

**ვაშინგტონი-კლივლენდი 115:107**

29:26, 23:31, 31:25, 32:25

**ვ:** ბლეტჩი (36+19 მოხსნა), მაკგი (25+8 მოხსნა), კროუფორდი (21+11 პასი+10 მოხსნა), ჯეფერსი (13).

**კ:** სეშენსი (26), ჰიქსონი (21+10 მოხსნა), ჰარანგოდი (12+8 მოხსნა), ჰოლინზი (12), ჯი (12), დევისი (10+11 პასი).

**დეტროიტი-ჩიკაგო 96:101**

21:31, 26:27, 25:22, 24:21

**დ:** ჰემილტონი (30), პრინსი (17+6 პასი), ბინუმი (12).

**ჩ:** როუზი (27+7 პასი), ბუზერი (22+8 მოხსნა+7 პასი), დენგი (15).

**ატლანტა-ბოსტონი 88:83**

23:21, 21:31, 18:16, 26:15

**ა:** კროუფორდი (20), ჯონსონი (19), ჰორფორდი (16+15 მოხსნა), ფაჩულია (15+10 მოხსნა).

**ბ:** პირსი (25+8 მოხსნა), რონდო (13+10 მოხსნა+5 პასი), ალენი (11), გარნეტი (10+10 მოხსნა+5 პასი), უესტი (10+5 პასი).

**ნიუ ორლეანი-მემფისი 81:93**

12:23, 26:28, 23:20, 20:22

**ნ-ო:** ლენდრი (19), ბელინელი (14), არიზა (12), ოკაფორი (6+10 მოხსნა), პოლი (5+13 პასი).

**მ:** რენდოლფი (28+10 მოხსნა+7 პასი), ალენი (17), გასოლი (13+10 მოხსნა), მაიო (13), კონლი (10+7 პასი).

**მინესოტა-მაიამი 92:111**

20:30, 32:21, 20:34, 20:26

**მინ:** უებსტერი (22), ლავი (18+7 მოხსნა), რიდნური (14+9 პასი), ბიზლი (13).

**მაი:** უეიდი (32), ჯეიმსი (27+10 პასი), ბოში (24+11 მოხსნა).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 119:114 (ო)**

31:27, 33:29, 23:29, 21:23, 11:6

**ჰ:** მარტინი (33), სკოლა (21+14 მოხსნა+6 პასი), ლოური (14+5 პასი), ლი (12), ბადინგერი (12), პატერსონი (12), ჰეიესი (10+12 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (31+6 პასი), დანკანი (23+13 მოხსნა), ჯინობილი (23+7 მოხსნა+6 პასი), ნილი (10).

**ფინიქსი-კლიპერსი 111:98**

25:23, 32:21, 31:26, 23:28

**ფ:** ჰილი (19), ფორიკი (17+10 მოხსნა), დადლი (16+7 მოხსნა+5 პასი), ბრუქსი (12+6 პასი), გორტატი (10+11 მოხსნა).

**კ:** გორდონი (21), გრიფინი (20+13 მოხსნა), კუკი (10), ფოიე (10).

**პორტლენდი-ოკლაჰომა 98:91**

20:30, 33:29, 25:11, 20:21

**პ:** ოლდრიჯი (32+8 მოხსნა), ბატუ (19), მილერი (13+7 პასი), უოლასი (13).

**ო:** დურანტი (25+11 მოხსნა), ჰარდენი (21), უესტბრუკი (16+9 მოხსნა+6 პასი).

**საკრამენტო-დენვერი 90:99**

28:21, 23:27, 16:31, 23:20

**ს:** გარსია (17), ევანსი (13), ტორნტონი (11+7 მოხსნა+5 პასი), უდრიხი (11), ტომპსონი (11), დალემბერი (10+12 მოხსნა), კაზინსი (10+8 მოხსნა+5 პასი).

**დ:** ფელტონი (17), მარტინი (14), ნენე (12+12 მოხსნა+6 პასი), აფლალო (11), სმიტი (10), ანდერსენი (10).

**იუტა-ლეიკერსი 85:96**

28:22, 20:20, 16:29, 21:25

**ი:** მაილზი (24), ჯეფერსონი (17+10 მოხსნა+5 პასი), მილსეპი (16).

**ლ:** ბრაიანტი (21), გასოლი (16+9 მოხსნა), ოდომი (16+7 მოხსნა), ფიშერი (15), ბინუმი (11).

### 2 აპრილი

**ჩიკაგო-ტორონტო 113:106**

25:19, 28:24, 30:32, 30:31

**ჩ:** როუზი (36+10 პასი), ბუზერი (18+10 მოხსნა), დენგი (17), გიბსონი (15+9 მოხსნა), კორვერი (10).

**ტ:** ბეილესი (26+8 პასი), დეროზანი (26), ბარბოზა (18), დევისი (17+11 მოხსნა), ჯონსონი (12).

**მემფისი-მინესოტა 106:89**

29:20, 27:24, 17:20, 33:25

**მემ:** რენდოლფი (22+8 მოხსნა), მაიო (20), ალენი (12), პოუ (11), გასოლი (10+9 მოხსნა).

**მინ:** ბიზლი (20), რიდნური (17), პეკოვიჩი (14), უებსტერი (12), ტოლივერი (12).

**მილუოკი-ფილადელფია 93:87 (ო)**

20:30, 19:18, 22:13, 18:18, 14:8

**მ:** სალმონსი (19+8 პასი), ჯენინგსი (13), გუდენი (12+12 მოხსნა), მბა ა მუტე (12), ბოგუტი (10+11 მოხსნა).

**ფ:** ბრენდი (20+12 მოხსნა), ჰოლიდეი (15+10 პასი), იანგი (14), მიქსი (13), ჰეიესი (12+7 მოხსნა).

**გ. სტეიტი-დალასი 99:92**

28:29, 20:21, 24:17, 27:25

**გ-ს:** ელისი (32+5 პასი), ლი (16+8 მოხსნა), რაიტი (13), ტორნტონი (12+9 მოხსნა), კარი (12+8 პასი), ამუნდსონი (8+10 მოხსნა).

**დ:** მერიონი (21+8 მოხსნა), ტერი (17+5 პასი), ნოვიცკი (16), ბარეა (13+11 პასი), ჩენდლერი (12+7 მოხსნა).

**კლიპერსი-ოკლაჰომა 98:92**

15:22, 22:27, 31:22, 30:21

**კ:** გრიფინი (26+16 მოხსნა), გორდონი (18+5 პასი), სმიტი (14), ჯორდანი (12+10 მოხსნა), ფოიე (11).

**ო:** დურანტი (23), ჰარდენი (14), იბაკა (11).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მიურეიმ მწვრთნელი იპოვა



ენდი მიურეი

შოტლანდიელმა ჩოგბურთელმა **ენდი მიურეიმ** უარყო ჭორები **ივან ლენდლთან** ან **ჯიმი კონორსთან** შესაძლო თანამშრომლობის შესახებ და თავისი ახალი მწვრთნელის ვინაობა გაუმხილა ჟურნალისტებს. ეს გახლავთ 36 წლის **ბარი კოუენი**, ყოფილი პროფესიონალი ჩოგბურთელი, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ 2001 წელს უიმბლდონის მეორე წრეში ხუთსეტიანი მატჩი ჩაატარა ლეგენდარული **პიტ სამპრასის** წინააღმდეგ და დამარცხდა - 3:6, 2:6, 7:6(5), 6:4, 3:6. ეს ახალი ამბავი მიურეიმ მაიამიში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

კოენმა მოთამაშის კარიერა 2002 წელს დაასრულა, რის შემდეგაც პოპულარობა მოიპოვა Sky Sports-ის არხზე მიმომხილველად და კომენტატორად მუშაობისას. იქ მისი პარტნიორები იყვნენ სხვა ყოფილი პროფესიონალები - **პეტერ ფლემინგი, მარკ პეტჩი** და **გრეგ რუსედსკი**.

ენდის ახალი მწვრთნელი იმით არის ცნობილი, რომ ძალიან სერიოზულად ეკიდება მოთამაშის ფსიქოლოგიურ მომზადებას. ახლა ის სწორედ ბრიტანელის მორალურ მდგრადობაზე იმუშავებს. როგორც ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, კოუენი დაუყოვნებლივ შეუდგება მუშაობას შოტლანდიელის გუნდის სხვა წევრებთან ერთად.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში თამაშის შემდეგ მიურეიმ ოთხ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ოთხივეში პირველივე მატჩიდან გამოეთიშა ბრძოლას.

# ჩემპიონი ლიდერის გარეშე

ფედერაციის თასის მოქმედი ჩემპიონი იტალიის ნაკრები თავისი ლიდერის გარეშე ჩავა რუსეთში ნახევარფინალური მატჩის სათამაშოდ. აპენინელებს ამ ეტაპზე ვერ დაეხმარება მსოფლიო რეიტინგის მეოთხე და იტალიური ჩოგბურთის პირველი ნომერი **ფრანჩესკა სკიავონე**. ჩოგბურთელმა თავად თქვა უარი რუსეთის წინააღმდეგ თამაშზე. მიზეზი ტრავმა არ არის, უბრალოდ, ფრანჩესკას სურს კარგად მოემზადოს როლან გაროსისთვის, სადაც მას შარშანდელი ტიტული აქვს დასაცავი.

ფედერაციის თასის ნახევარფინალი 16-17 აპრილს გაიმართება და ეს პერიოდი გრუნტის სეზონის დაწყებას ემთხვევა. სკიავონეს მიაჩნია, რომ რუსეთის დედაქალაქში მგზავრობა ცუდად იმოქმედებს მისი ინდივიდუალური მზადების პროცესზე.

*„ძალიან ვწუხვართ სკიავონეს უარის გამო, მაგრამ გვესმის და პატივს ვცემთ მის გადაწყვეტილებას“*, - აღნიშნა იტალიის ნაკრების კაპიტანმა **კორადო ბარადტუციმ**.

იტალია ფედერაციის თასის ბოლო ორი გათამაშების ჩემპიონია. შარშანდელ ფინალში ამერიკის წინააღმდეგ სკიავონემ თავის გუნდს ორი ქულა მოუტანა - დაამარცხა **კოკო ვანდევეგე** და წააგო **მელანი ოუდინთან**.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მორიგი ათასიანი

გასული უქმეები ჰოკეის ეროვნულ ლიგაში იმით იყო გამორჩეული, რომ NHL-ის „ათასიანთა კლუბს“ კიდევ ერთი წევრი შეემატა. „კალგარი ფლეიმზმა“ სტუმრად დაამარცხა „სენტ ლუის ბლუზი“ და შეინარჩუნა პლეი ოფში გასვლის შანსი. კანადური კლუბი მეორე პერიოდის ბოლოსთვის 0:2-ს აგებდა, მაგრამ თავისი ლიდერის **ჯერომ იგინლას** მონდომებით თამაშში გარდატეხა შეიტანა და 3:2 მოიგო.

იგინლამ სამივე გოლში მიიღო მონაწილეობა - ორი შაიბა თავად გაიტანა და ერთში საგოლე პასი გააკეთა. ამ სამი ქულის წყალობით ვეტერანი კანადელის კარიერულმა მონაგარმა 1000 ქულა შეადგინა. ახლა იგინლას ანგარიშზე ლიგაში 480 გოლი და 520 შედეგიანი გადაცემა მოდის. 33 წლის ჰოკეისტი გახდა 77-ე მოთამაშე ლიგის ისტორიაში, ვინც ათასქულიან ზღვარს მიაღწია.

*„რა თქმა უნდა, კარიერის დასაწყისში ასეთ რამეზე ვერ ვიოცნებებდი. ათას ქულაზე ფიქრი, ალბათ, ბოლო რამდენიმე სეზონია დავიწყე,* - განაცხადა მატჩის შემდეგ იგინლამ. - *მთელი კარიერის განმავლობაში ბევრი დასამახსოვრებელი მატჩი ჩავატარე და დიდი სიამოვნებაც მივიღე იმისგან, რომ უამრავი ბრწყინვალე ჰოკეისტის გვერდით ვითამაშე. რაც შეეხება ჰოკეიდან წასვლას, ამაზე ჯერ ნაადრევია ფიქრი. წასვლას არ ვაპირებ“.*



იგინლას გოლი

**1 აპრილი**

**კოლამბუსი-ჩიკაგო 3:4 (ბ)**

1:2, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პ. კეინი-26 (კამპოლი-16, ლედი-2), 0:2 სიბრუკი-7 (პ. კეინი-43, მარიან ჰოსა-30), 1:2 მაიოროვი-1 (სტრალმანი-14, ვერმეტი-26), 2:2 ბრასარი-16 (სტრალმანი-14, ვერმეტი-27), 3:2 პლსონი-7 (სტრალმანი-15, ლეპისტო-11), 3:3 ბიკელი-17 (კეიტი-36).

**ბულიტები გაიტანეს:** სტალბერგი (ჩიკაგო).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 4:2**

0:1, 2:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ვან რიმსდიკი-20 (მ. რიჩარდსი-42, მეზაროში-22), 1:1 ელიაში-17 (როლსტონი-17, ტალინდერი-10), 2:1 ელიაში-18 (როლსტონი-18), 2:2 ჯ. კარტერი-36 (ჟერდიოვი-5, კ. ჟირუ-47), 3:2 პალმიერი-8 (კოვალჩუკი-27, ზაიაცი-30), 4:2 ელიაში-19 (როლსტონი-19, ზუბრესი-16).

**სტ. ლუისი-კალგარი 2:3**

1:0, 1:1, 0:2

**გოლები:** 1:0 დ'აგოსტინი-21 (ბეკსი-30, შატენკირკი-31), 2:0 ბეკსი-29 (შატენკირკი-32, ოში-21), 2:1 იგინლა-38 (ტანგეი-42, ჯორდანო-33), 2:2 ტანგეი-20 (იგინლა-41, ლენგკოუ-1), 2:3 იგინლა-39 (ტანგეი-43).

**ფინიქსი-კოლორადო 3:4 (ბ)**

0:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 0:1 დუპუი-5 (მაკლემანი-12, რ. ო'რაილი-13), 0:2 მაკლემანი-7 (ვინიკი-14, მაკლეოდი-3), 1:2 სტემნიაკი-18, 2:2 რეი უიტნი-16 (ბელანჟე-25, დოუნი-39), 3:2 დოუნი-19 (რეი უიტნი-40, იენდლი-48), 4:2 რ. ო'რაილი-12 (პორტერი-11, ლაილსი-39).

**ბულიტები გაიტანეს:** რ. ო'რაილი (კოლორადო).

**2 აპრილი**

**ბოსტონი-ატლანტა 3:2**

1:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რეკი-14 (პ. ბერჟერონი-35, მარჩანდი-20), 1:1 ბიფულინი-20 (ბოგოსიანი-12, ლიტლი-28), 1:2 ე. კეინი-19 (ანტროპოვი-23), 2:2 პეი-4, 3:2 რაიდერი-18 (ბულიტი).

**მინესოტა-ტამპა ბეი 1:3**

1:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ბუშარი-11 (ბროძიაკი-20, კლატერბეკი-14), 1:1 მელოუნი-12 (მური-14, ლუნდინი-10), 1:2 დაუნი-10 (საიმონ განიე-20, ბრიუერი-7), 1:3 ბერგენჰაიმი-14 (სენტ ლუისი-63).

**ნეშვილი-დეტროიტი 3:4 (ო)**

1:0, 2:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 რ. სუტერი-4 (ფიშერი-15, ჰორნკვისტი-23), 2:0 ერატი-17 (შ. უებერი-31, რ. სატერი-35), 3:0 ს. კოსტიცინი-20 (ფიშერი-16, ჰალიშჩუკი-7), 3:1 კინდლი-2, 3:2 აბდელკადერი-6 (ბ. სტიუარტი-16, ჰოლმსტრიომი-19), 3:3 აბდელკადერი-7 (ბერტუცი-26, რაფალსკი-40), 3:4 ქლირი-25 (რაფალსკი-41, ზეტერბერგი-54).

**ლოს ანჯელესი-დალასი 3:1**

0:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 სიმონდსი-14 (უ. მიტჩელი-5, ლუისი-10), 1:1 ბ. რიჩარდსი-06 (ბენი-29, გოლიგოსკი-30), 2:1 მ. გრინი-2 (სიმონდსი-15, კლიფორდი-7), 3:1 დ. ბრაუნი-28 (სტოლი-22).

**ფლორიდა-პიტსბურგი 2:4**

2:1, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ტაილერ კენედი-20 (ჯ. სტაალი-16, კუნიტცი-25), 1:1 სკილი-8 (რისონერი-17, კულიკოვი-20, 2:1 კ. უილსონი-3 (სამსონოვი-25, ვივერი-11), 2:2 დუპუი-14 (ტელბოტი-11, კონერი-8), 2:3 ზ. მიხალეკი-4 (მარტინი-21, ჯ. სტაალი-17), 2:4 ადამსი-4 (ჯ. სტაალი-18, ლავჯოი-12).

**ნიუ ჯერსი-მონრეალი 1:3**

0:1, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 დერჩი-11 (ჯონტა-16, გილი-7), 0:2 სუბანი-13 (პლეკანეცი-35, კამალერი-27), 0:3 დერჩი-12 (ჯონტა-17, გომესი-30), 1:3 კოვალჩუკი-29 (ელიაში-39, ზუბრუსი-17).

**აილენდერსი-კაროლინა 2:4**

1:1, 1:0, 0:3

**გოლები:** 0:1 ი. იოკინენი-18 (კორვო-28, ჟოსლენი-7), 1:1 ჟოენსუ-6 (პილენი-18), 2:1 ტავარესი-28 (მოულსონი-20, რიისი-5), 2:2 კორვო-11 (გლისონი-14, ტრუუტუ-36), 2:3 ე. კოული-24 (ე. სტაალი-39, კორვო-29), 2:4 ე. სტაალი-32.

**ოტავა-ტორონტო 2:4**

0:1, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 კესელი-30 (გრაბოვსკი-29, მაკარტური-39), 0:2 კადრი-3, 1:2 სპეცა-18 (ბატლერი-8), 2:2 სპეცა-19 (ბენუა-1, ვირჩიოკი-2), 2:3 ბოჟაკი-14 (ლუპული-16, გუნარსონი-15), 2:4 კულემინი-29 (მაკარტური-40).

**ვაშინგტონი-ბაფალო 5:4 (ო)**

2:2, 0:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ნუბლი-22 (ჯ. კარლსონი-29, ოვეჩკინი-50), 2:0 სიომინი-28 (ბექსტრიომი-43, შტურმი-10), 2:1 ვანეკი-28 (პომინვილი-27, კ. ბატლერი-7), 2:2 გოსტადი-29 (ბოიესი-35, მიერსი-26), 2:3 გოსტადი-11 (გერბე-1, მ. უებერი-13), 3:3 ნუბლი-23 (ლეიჩი29, ბექსტრიომი-44), 3:4 სტეფორდი-30 (ტიმ კონოლი-26), 4:4 არნოტი-17 (ოვეჩკინი-51, სიომინი-26), 5:4 ოვეჩკინი-30 (ჯ. კარლსონი-30, ბექსტრიომი-45).

**ვანკუვერი-ედმონტონი 1:4**

0:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ფოსტერი-7 (რ. ჯონსი-7, ებერლე-23), 0:2 ებერლე-18 (კოლიანო-22, ფოსტერი-13), 0:3 უმარკი-5 (ჰარტიკაინენი-2, კოლიანო-23), 1:3 ბაროუზი-25 (ჰ. სედინი-73, ბიეკსა-15), 1:4 პააიარვი-13 (უმარკი-19, ვანდეველდე-1).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 4:2**

0:2, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 რაიანი-34 (პერი-44, გეტცლაფი-52), 0:2 ვიშნოვსკი-17 (ფაულერი-29, პერი-45), 1:2 ჰიტლი-25 (ქლოუ-38, მიურეი-10), 2:2 მარლო-36 (სეტოგუჩი-18, დ. ბოილი-39), 3:2 სეტოგუჩი-21 (დ. ბოილი-40, მარლო-32), 4:2 მარლო-37 (პაველსკი-45, სეტოგუჩი-19).

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| სან ანტონიო-ფინიქსი | 114:97 |
| ლეიკერსი-დენვერი | 90:95 |
| **საბერძნეთი** | |
| იკაროსი-კავალა | 75:67 |
| აეკ-ირაკლისი | 81:74 |
| პაოკ-ილისიაკოსი | 66:52 |
| მარუსი-არისი | 71:82 |
| ოლიმპიაკოსი-კოლოსოსი | 93:63 |
| პანელინიოსი-პერისტერი | 75:65 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 61:75 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-ბილბაო | 78:83 (ო) |
| უნიკახა-ხუვენტუდი | 111:55 |
| სარაგოსა-მანრესა | 85:65 |
| გრანადა-რეალი | 65:73 |
| კახასოლი-ვალენსია | 63:74 |
| გრან კანარია-ვალიადოლიდი | 85:73 |
| ალიკანტე-ხირონა | 87:76 |
| ფუენლაბრადა-მენორკა | 78:61 |
| კახა ლაბორალი-ესტუდიანტ. | 89:66 |
| **გერმანია** | |
| ჯაინტსი-ფინიქსი | 80:88 |
| გოტინგენი-ბონი | 73:63 |
| **იტალია** | |
| კანტუ-მონტეგრანარო | 67:56 |
| სკავოლინი-ვანოლი | 82:59 |
| რომა-ტერამო | 76:60 |
| აველინო-მილანი | 76:84 |
| ბიელა-ბენეტონი | 77:79 |
| ბოლონია-სასარი | 81:87 |
| ვარეზე-კაზერტა | 92:77 |
| **თურქეთი** | |
| ერდემი-ფენერბაჰჩე | 74:82 |
| მერსინი-ტ. ტელეკომი | 85:72 |
| ტრაბზონი-ოდინი- | 89:85 |
| თაფასი-ბორნოვა | 73:70 |
| ეფესი-ბანვითი | 78:72 |
| პინარი-ოიაქი | 82:60 |
| გალათასარაი-ალიაგა | 89:80 |
| **საფრანგეთი** | |
| გრაველენი-შალონი | 73:65 |
| შოლე-ტულონი | 78:68 |
| ორლეანი-ჰავრი | 69:68 |
| ლიმოჟი-პარიზი | 89:66 |
| ვიში-პო ორტეზი | 79:68 |
| პუატიე-რუანი | 80:77 |
| ნანსი-სტრასბური | 88:61 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| ფილადელფია-რეინჯერსი | 2:3 (ო) |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-ლოკომოტივი | 8:2 |
| მეტალურგი (მ)-ს. იულიაევი | 5:3 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 6:3 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-კრეფელდი | 4:2 |
| დიუსელდორფი-აისბარენი | 3:2 (ო) |
| **ფინეთი** | |
| ჰიფკ-ლუკო | 5:2 |
| **შვეიცარია** | |
| კლოტენი-დავოსი | 1:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| ნადალი-**ჯოკოვიჩი** | 6:4, 3:6, 6:7 |

TV პროგრამა

**4 აპრილი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა-ესტუდიანტესი.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. სტ. პაული-შალკე.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-მონპელიე.
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ბორუსია (მ).
20:00 არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ტიგრე.
22:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბილბაო (LIVE).
01:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-აიაქსი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფინიქსი.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
15:40 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
16:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილუოკი-ფილადელფია.
17:50 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ჰიუსტონი.
20:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.
21:40 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. მაიამი. აშშ.
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფინიქსი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბილბაო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

17:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ტერეკი-ტომი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კასაბლანკა. მაროკო (LIVE).
20:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კასაბლანკა. მაროკო (LIVE).

**EUROSPORT**

00:30 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. გერმანია-აშშ. დანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

22:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ფრანქფურტი-ბოხუმი (LIVE).

ფორმულა 1

# მალაიზიაში ოთხი პიტსტოპით?

სეზონის პირველ ეტაპზე - ავსტრალიის გრანპრიზე „პირელის“ საბურავებს კრიტიკა არ დაუმსახურებიათ. პესიმისტური პროგნოზის მიუხედავად, იტალიური კომპანიის პროდუქციამ მდგრადობის საკმარისი დონე აჩვენა და პილოტების უმრავლესობას ორზე მეტი პიტსტოპის შესრულება არ დასჭირვებია. უპირველეს ყოვლისა, ეს მელბურნის ტრასის ასფალტის თავისებურებებით იყო გამოწვეული.

მაგრამ მალაიზიის ტრასას აბსოლუტურად სხვა მახასიათებლები აქვს და საბურავებზე იქ მეტი დატვირთვა მოვა. ასე რომ, „პირელის“ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე სერიოზული გამოცდა ელოდება.

*„სეპანგის ტრასის მახასიათებლები და 50-გრადუსიანი სიცხე - ეს იმ ფაქტორების ყველაზე აგრესიული შეხამებაა, რომელთანაც ამ სეზონში გვექნება საქმე,* - ამბობს Pirelli Motorsport-ის დირექტორი **პოლ ჰემბრი**. - *გარდა ამისა, დიდია წვიმის ალბათობა, რამაც, შესაძლოა, მთლიანად თავდაყირა დააყენოს ჩვენი და გუნდების გეგმები. მაგრამ თუ რბოლა ნორმალურ პირობებში ჩაივლის, წინასწრავე უნდა განვეწყოთ იმისთვის, რომ თითოეული პილოტი მთელი ეტაპის განმავლობაში ოთხჯერ შევა საბურავის შესაცვლელად“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. მიმოხილვა

# ვიქტორიას ვიქტორია

**მარია შარაპოვამ** ვერ შეძლო ნავსის გატეხა და მესამე ცდაზეც ვერ მოიპოვა მაიამის სუპერტურნირის მთავარი პრიზი. მიუხედავად ამისა, გასული კვირა რუსი ჩოგბურთელის აქტივში უნდა შევიტანოთ, რადგან ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კორტზე დაბრუნებული შარაპოვა პირველად შევიდა WTA-ის რეიტინგის პირველ ათეულში.

მარიასგან განსხვავებით, ფინალის მეორე მონაწილეს **ვიქტორია აზარენკას** მოგებული ჰქონდა მაიამი - 2009 წელს და ახლა მეორე ტიტულს უმიზნებდა. ბელარუსისთვის ტურნირი მძიმედ დაიწყო და პირველ სამ მატჩში მას სამსეტიანი ბრძოლების გადატანა მოუხდა, სამაგიეროდ, ბოლო ორ შეხვედრაში დამაჯერებლად მოუგო **კიმ კლაისტერსსა** (6:3, 6:3) და **ვერა ზვონარევას** (6:0, 6:3). რაც შეეხება აზარენკასა და შარაპოვას ურთიერთშეხვედრებს, ამ მხრივ ანგარიში თანაბარი იყო - 2:2.

ფინალი ბრეიკების გაცვლით დაიწყო - მარიამ წააგო საწყისი ათწუთიანი გეიმი, როცა რამდენიმე უნებლიე შეცდომა დაუშვა, თუმცა ვერც მისი მეტოქე იყო საკუთარ მოწოდებაზე მთლად ზუსტი. ამის შემდეგ შარაპოვა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა და იქიდან კარგა ხანი ვერ გამოვიდა. რუსმა კიდევ უფრო უმატა შეცდომებს და თითქმის უბრძოლველად დათმო შემდეგი ოთხი გეიმი. ანგარიში გახდა 5:1 ბელარუსის სასარგებლოდ. მარიამ მხოლოდ მეშვიდე გეიმში გაუმართა ბრძოლა მეტოქეს, მაგრამ ვიქტორიამ მეორე სეტბოლიდან მაინც გაიფორმა პარტიაში გამარჯვება. პირველ სეტში შარაპოვას 22 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა!

რუსისთვის მეორე სეტიც კატასტროფულად დაიწყო. მიღებაზე თამაში მას ისევ არ გამოსდიოდა და მალე აზარენკა 4:0 დაწინაურდა. ისე გამოვიდა, რომ საწყისი სეტის სტარტზე გეიმების გაცვლის შემდეგ, ვიქტორიამ ზედიზედ ცხრა გეიმის აღება შეძლო.

თამაშის ამგვარი მიმდინარეობის მიუხედავად, შარაპოვას უბრძოლველად არ დაუტოვებია კორტი. ბოლოსკენ ის დამაჯერებლად ათამაშდა და ზედიზედ სამი გეიმი აიღო. შეიძლებოდა მეოთხეც მოეგო, მაგრამ 3:4-ზე ბრეიკ-პოინტის დროს ორმაგი შეცდომა დაუშვა.




მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. შემდეგ გეიმში რუსმა ორი მატჩბოლი მოიგერია, რის შემდეგაც აზარენკა ოდნავ ანერვიულდა და ახლა მან დაუშვა ორმაგი შეცდომა ბრეიკ-პოინტის დროს. და მაინც, შარაპოვას მატჩის გადარჩენა არ გამოუვიდა - ისევ შეცდომები საკუთარ გეიმში და აზარენკამ სრულიად დამსახურებულ ტრიუმფს მიაღწია - 6:1, 6:4.

ასე გახდა ვიქტორია აზარენკა მაიამის ტურნირის ორგზის ჩემპიონი, რის ხარჯზეც დღეიდან ის მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი გახდება, რაც მის კარიერაში საუკეთესო შედეგია. შარაპოვა კი მომავალ კვირას მეცხრე ჩოგანის რანგში დაიწყებს.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-მარია შარაპოვა (რუს, 13) 6:1, 6:4.

# რაფას მეორე ცდა

ისევე როგორც ორი კვირის წინ ინდიან უელსის მასტერსზე, ამჯერადაც მაიამის ტურნირის ფინალში მსოფლიოს ორი საუკეთესო ჩოგბურთელი - **რაფაელ ნადალი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** გაარკვევენ ურთიერთობას.

რა თქმა უნდა, ნახევარფინალური ეტაპის გამორჩეული მატჩი იყო ნადალისა და მსოფლიოს მესამე ჩოგანის - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** დაპირისპირება. ეს უკანასკნელი უფრო დასვენებული შეხვდა ამ შეხვედრას, რადგან წინა წრეში მხოლოდ სამი გეიმის თამაში მოუხდა ფრანგი **ჟილ სიმონის** წინააღმდეგ, იმ დროს, როცა ნადალმა სამი სეტი მოანდომა ჩეხი **ტომაშ ბერდიხის** დამარცხებას.

უკვე შეხვედრის სტარტზე გამოიკვეთა ნადალის უპირატესობა, რომელმაც მესამე გეიმში გააკეთა პირველი ბრეიკი. მას ძალიან დაეხმარა ფედერერის შეცდომები ბექჰენდის შესრულებისას. თუმცა იმ დღეს შვეიცარიელი სხვა სათამაშო კომპონენტებშიც მოიკოჭლებდა - არ მისდიოდა ფორჰენდი, ბადესთან თამაში და პირველი მოწოდების სიზუსტეც არ იყო მთლად მოსაწონი. ნადალი კი პირიქით, ბრწყინვალედ აწოდებდა - პირველი მოწოდების სიზუსტე 76 პროცენტი იყო, მეორის - 82 პროცენტი. სწორედ ამის გამო ფედერერს არ გამოუვიდა მიღებაზე თამაში, მის გეიმებზე კი მუდმივად ბრძოლა იყო. შესაბამისად, სეტის ბოლოს ნადალმა მეორე ბრეიკის აღებაც შეძლო.

როჯერმა მხოლოდ მეორე სეტის სტარტზე მოიპოვა პირველი ბრეიკ-პოინტი, რომელიც ვერ გამოიყენა. ასეთი შანსი ფედერერს დარჩენილ დროში აღარ ჰქონია, ნადალმა კი უკვე შემდეგ გეიმში კვლავ აიღო მეტოქის მოწოდება და განმეორდა პირველი სეტის სცენარი, როცა შვეიცარიელს შანსი აღარ ჰქონდა ესპანელის მოწოდებებზე და ბოლოს კიდევ ერთხელ დამთო საკუთარი გეიმი - 3:6, 2:6. შვეიცარიელს ორჯერ მეტი „ვინერსი“ დაუგროვდა, მაგრამ ოთხჯერ მეტი უნებლიე შეცდომა ჰქონდა. როჯერმა წელს ორივე ამერიკულ მასტერსზე ნახევარფინალამდე მიაღწია, რაც შარშანდელზე უკეთესი შედეგია, მაგრამ მსოფლიო ჩოგბურთის ყოფილი ლიდერი ამით კმაყოფილი მაინც ვერ იქნება.

ამ მატჩამდე უკვე ცნობილი იყო პირველი ფინალისტი. მოლოდინისამებრ, ფინალში გააღწია ნოვაკ ჯოკოვიჩმა, რომელმაც ზედიზედ 25-ე მატჩში იზეიმა გამარჯვება და ამ სეზონში კვლავაც დაუმარცხებლად თამაშობს. ამჯერად სერბის მსხვერპლი გახდა ამერიკელი **მარდი ფიში**, ვინც ნახევარფინალში გასვლით რეიტინგში **ენდი როდიკს** გაასწრო და ამერიკული ჩოგბურთის ლიდერი გახდა. ფიში ამაზე გაჩერებას არ აპირებდა, თუმცა ჯოკოვიჩთან მანამდე ხუთიდან ხუთი მატჩი ჰქონდა წაგებული.

ჩოგბურთელებმა მხოლოდ ოთხი გეიმის თამაში მოასწრეს, რის შემდეგაც წვიმა წამოვიდა. პაუზამ ერთ საათს გასტანა და მატჩი გაგრძელდა. სერბი ამჯერად ნაკლებად დამაჯერებელი იყო - მის მოწოდებაზე ყოველთვის ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ ნოვაკი სუფთად გამოდიოდა რთული სიტუაციებიდან. შემდეგ მან ბრეიკი გააკეთა და სეტზე ჩასაწოდებლად გაემზადა. სწორედ ამ დროს ფიშმა ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში იღბალი სერბის მხარეს იყო. მეორე სეტის სტარტზე ამერიკელზე ცუდად იმოქმედა ჯოკოვიჩის ნაადრევმა ბრეიკმა და ფიშმა პარტიის ბოლომდე მხოლოდ ერთი გეიმი აიღო - 3:6, 1:6.

რაფაელისა და ნოვაკისთვის ეს იქნება მესამე ფინალი ფლორიდაში, ამასთან, ესპანელი წინა სამ შემთხვევაში დამარცხებული ტოვებდა მოედანს. ჯოკოვიჩს კი ერთხელ აქვს მოგებული მაიამის მასტერსი.



ნადალი ნოვაკის შეჩერებას ეცდება

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 645 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-მარდი ფიში (აშშ, 14) 6:3, 6:1; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 6:3, 6:2.

კრივი

# შემდეგი დაცვა 4 ივნისს?

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის **ვიტალი კლიჩკოს** მორიგი ბრძოლა, სავარაუდოდ, 4 ივნისს გაიმართება. როგორც გაირკვა, უკრაინელი მოკრივის წარმომადგენლები ამ მომენტისთვის მოლაპარაკებებს აწარმოებენ ამერიკულ საკაბელო ტელარხ Epix-თან, რომელმაც აშშ-ის ტერიტორიაზე მოაწყო 19 მარტს გამართული კლიჩკოსა და კუბელი ოდლანიერ სოლისის საჩემპიონო ბრძოლის ტრანსლაცია. ვიტალის მენეჯერებსა და ტელევიზიის ხელმძღვანელებს შორის სწორედ 4 ივნისს გასამართი ბრძოლის შესახებ მიმდინარეობს მოლაპარაკება.

პოტენციურ მეტოქეებს შორის სახელდება სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ბელარუსი სერგეი ლიახოვიჩი. ამ უკანასკნელს მომავალ უქმეებზე, 9 აპრილს უნდა ეჩხუბა ამერიკელი ჯონი უაიტის წინააღმდეგ, მაგრამ ნეკნის დაზიანების გამო უარი თქვა რინგზე გასვლაზე.

2011 წელს ვიტალის ერთი ბრძოლა უკვე დანიშნული აქვს. ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად, WBC-ის ჩემპიონმა სექტემბერში პოლონელი ტომაშ ადამეკის წინააღმდეგ უნდა იჩხუბოს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე“

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰეინეკენი
და შანსი გაემგზავრო უფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან - 16-მდე.




FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA
TV-RADIO